# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 25 ივნისი 1998 №101 (636) ფასი 50 თეთრი

# საფრანგეთი — დანია 2:1
# ს. აფრიკა — საუდეთი 2:2
# ესპანეთი — ბულგარეთი 6:1
# ნიგერია — პარაგვაი 1:3

REUTERS



ბულგარელთა დაცვა და მეკარე ესპანელთაგან საუკეთესო ლუის ენრიკეს დარტყმულს გასცქერიან, მაგრამ ეს გოლიც ისევე ამაოა, როგორც დანარჩენი ხუთი

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ს. აფრიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| საუდეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:4 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

## დღეს ოთხი მატჩია

**ჰოლანდია — მექსიკა**
სენტ ეტიენი. 18⁰⁰

**ბელგია — კორეა**
პარიზი. 18⁰⁰

**გერმანია — ირანი**
მონპელიე. 23⁰⁰

**აშშ — იუგოსლავია**
ნანტი. 23⁰⁰

პირველი ესპანეთი ატ[illegible] ა. [illegible]სა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ ბულგარელებს 6:1 კი მოუგეს, მაგრამ მერვედფინალისკენ ნიგერიის დამმარცხებელმა პარაგვაიმ გაიკაფა გზა. ესპანელთა დღეში მანამდე დანიელებიც რომ აღმოჩენილიყვნენ, გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ ამათ საუდელებმა უსაშველეს, სამხრეთაფრიკელებთან ფრედ რომ ითამაშეს.

— ფრანგებმა დანიელები თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს. მით უმეტეს, რომ ჟაკემ, მოედანზე თითქმის მეორე შემადგენლობა გამოიყვანა. მასპინძლებმა თავიანთი საქმე უნერვიულოდ გააკეთეს, ცოტა კიდევ რომ მოენდომებინათ, ალბათ, დანიელთა კარს ამოავსებდნენ. თუმცა მეტოქე შეიბრალეს. ზოგ ეპიზოდში კი, უბრალოდ დანიელებმა იყოჩაღეს. სკანდინავიელებს, მეჩვენება სიმძლავრე აკლდათ, თორემ სხვა მხრივ დასაწუნი არაფერი აქვთ. ძალიან მიჭირს გითხრათ, რომ მერვედფინალში ისინი ნიგერიელებს მოუგებენ. საეჭვოა, მგონი აფრიკელები გზას გააგრძელებენ, დანიელები

## სამართლიანი უსამართლობა

კი ჩემოდნებს ჩაალაგებენ. საფრანგეთს, ერთხელაც გეტყვით, უკვე ფინალში გასულად ვთვლი. აი, ნახავთ, მერვედფინალში სულ სხვა, გაცილებით მობილური გუნდი იქნება. ძალების დაზოგვის დრო დამთავრდა.

სამხრეთ აფრიკა — საუდეთი უსახურ მეტოქეთა, უსახური მატჩი იყო. საქართველოს ნაკრები მათზე ათი თავით მაღლა დგას და ჩვენებმა რომ მოინდომონ, ამათ საშინლად გაუსწორდებიან. ორივე ერთფეროვანი გუნდია. გოლებიც შესაფერისი გავიდა — ოთხიდან სამი პენალტით.

ნიგერიელთაგან გუშინ მარტო გვარებილა იყო დარჩენილი. შეგნებულად არ ითამაშეს და ესპანეთს საქმე გაუფუჭეს. ისინი კიდევ გაამწარებენ გუნდებს, მერვედფინალში დანიას ხვდებიან, ხოლო მერე ნებისმიერ მეტოქეს უნდა ეშინოდეს ევროპული შავების. პარაგვაი ამათი მომგები არ იყო. უბრალოდ, ნიგერიელთა ძალიან ძლიერმა ნახევარდაცვამ და თავდასხმამ აუტკივარი თავი არ აიტკია. მცველებმა და მეკარემ კი ისეთი შეცდომები დაუშვეს, ბავშვისთვისაც რომ უპატიებელია.

## ექსპერტის კომენტარი ვლადიმერ პანჩვი
*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



ესპანეთი ღმერთმა დასაჯა. თავი ძალად დაიღუპა. სხვის იმედად დარჩა და ბედმაც უმტყუნა. არადა, ხომ ორი აზრი არაა, ესპანეთი პარაგვაის ყველაფერში სჯობს, ფეხბურთელთა ოსტატობიდან დაწყებული, თამაშის ორგანიზაციით დამთავრებული. უსამართლობა იყო მათი ჯგუფიდან გაუსვლელობა, მაგრამ მეტოქეებს რომ ქულები დაურიგეს, ასე ეკუთვნოდათ. რა, ნიგერიელთა მომგები არ იყვნენ? თუ პარაგვაის ბულგარელების გზას ვერ გაუყენებდნენ. ეგონათ გავისეირნებთო, სამწუხაროდ პირიქით კი მოხდა. გუშინ მართლაც გაილაღეს, ის ფეხბურთი ითამაშეს, რომელიც წესით, შემდეგი ეტაპიდან უნდა გამოეყენებინათ. ბულგარელებს შავი დღე აყარეს, თუმცა არც მეტოქე ჰყავდათ ისეთი, დიდ წინააღმდეგობას რომ გაუწევდათ. ბულგარელთა კარგი თამაში ისტორიაა.

# მხოლოდ კარის გაჯახუნება

მატჩი №49. 24 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 41 275 მაყურებელი

## ესპანეთი 6:1 ბულგარეთი

1:0 იერო (6პ); 2:0 ლუის ენრიკე (18); 3:0 მორიენტესი (53); 3:1 კოსტადინოვი (57); 4:1 მორიენტესი (81); 5:1, 6:1 კიკო (88, 90)

ესაა ცხოვრება, სიხარული და ტკივილი. ასეთია ბუნების კანონი, ყველა საკუთ... შეცდომაზე აგებს პასუხს. ნამოქმედარი წინ დაგიხვდება. ეს ხანდახან დიდი ხნის მერე ხდება, ესპანელთა შემთხვევაში კი ყველაფერი უმალ, თვალსაჩინოდ აღსრულდა.

ტკივილმა და სიხარულმა ერთდროულად წამოყვეს თავი.

საფრანგეთის ქალაქ ლანსში ჩაბრძანებულ ესპანეთის მეფეს, ხუან კარლოს მეორეს და დედოფალ ანას ქვეშევრდომებმა დიდი გამარჯვება და დამარცხება მიუძღვნეს. ესპანეთის ნაკრებმა ბულგარეთს 6:1 მოუგო, მაგრამ წინა შეხვედრებში ჩადენილი დაუდევრობისთვის დასჯილმა გუნდება თავჩაქინდრულმა დასტოვა მეზობელი სახელმწიფოს მიწა. რა გამოვიდა თუ არა კარის გაჯახუნება?! არადა, ტრადიციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ესპანეთი ის გუნდი არაა, კარის ჯახუნმა რომ გაახაროს.

ესპანელები მსოფლიოს ჩემპიონატზე იმედით ჩავიდნენ. დიდხანს, ძალიან დიდხანს არ შეეგრძნოთ მარცხის საზიზღარი გემო და ასე ეგონათ, რომ წაგებამ დაივიწყა მათი არსებობა, მაგრამ თურმე ნუ იტყვით და საშინელმა ჯოჯომ, დამარცხება რომ ჰქვია, ისინი მხოლოდ მოადუნა, თავალ კი სადღაც მიყუჩდა და ყველაზე საჭირო დღეებში გამოაჩინა თავისი დაგრეხილი ეშვები.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასულმა ესპანეთმა პირველივე შეხვედრა წააგო, თან თითქოს წასაგებად არ უნდა გაეხადა საქმე. ესპანელებს პირველი რიხსვა ნიგერიამ დაატეხა თავს — 2:3.

მეორე მატჩიც უიღბლო და უკბილო ჰქონდათ ხუან კარლოსის ქვეყნის ფეხბურთელებს. მათ უთავდამსხმელო პარაგვაისთან უშნო 0:0 ითამაშეს და ისე გაიხადეს საქმე, რომ ბოლო დღეს მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი. თუ მერვედფინალში გასვლა სურდათ, თავად აუცილებლად უნდა დაემლიათ ბულგარეთი, მაგრამ იმავდროულად პარაგვაის ნორვეგიისთვის არ უნდა მოეგო.

ამოცანის პირველი ნახევარი, რაც მათზე იყო დამოკიდებული, ესპანელებმა ფრიადზე შეასრულეს, მეორე ნახევარი კი, როგორც ვთქვით, სხვაზე ეკიდა და სწორედ მან უმტყუნა, პარაგვაიმ ნიგერიას მოუგო.

ბულგარეთის კართან ესპანელებმა იმთავითვე შექმნეს სახიფათო მომენტები. მათი საბრძოლო განწყობილება პირველსავე წუთებზე ფერნანდო იერომ ნათელჰყო, როდესაც საჯარიმოდან დაარტყა და მეკარე ზდრავკო ზდრავკოვს ოსტატობა შეუმოწმა. სულ მალე, მე-4 წუთზე კი მეტოქის საჯარიმოში ლუის ენრიკე შეიჭრა, რაც სარმით და პენალტით დამთავრდა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან იერომ გახსნა ანგარიში.

ლუის ენრიკე ამ შეხვედრაში გამორჩეული კაცი გახლდათ. თვალშისაცემი იყო, როგორ იცვლიდა იგი ფლანგებს. ნომინალურად თითქოს მარცხენა ინსაიდი იყო, მაგრამ ხშირად მარჯვნივ გადადიოდა და ასე, აქეთ-იქიდან დაჰქროდა ბულგარელთა დაცვის რიგებში.

მეორე გოლი თავად ლუის ენრიკემ გაიტანა, ხოლო შესვენების შემდეგ ფერნანდო მორიენტესი შეიყვანა მეკარესთან პირისპირ, რის შედეგადაც ტაბლოზე 3:0 აანთეს.




ცრემლები ლანსში — სერხი და ესპანელები მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენას გლოვობენ

შემდეგ, მეორე ტაიმის შუაში ესპანელების მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ დიდებული ბარსელონელი მოედნიდან გაიყვანა. ამ შეცვლის მიზეზი სრულიად გასაგები გახლდათ. ჯერ ერთი, ცხადი იყო, რომ ბულგარეთი ჩარხს უკუღმა ვერ მოატრიალებდა და ამდენად, ლუის ენრიკეს გამოცვლით კლემენტე ალარაფერს რისკავდა. მეორეც, ტულუზიდან, ნიგერია — პარაგვაის მატჩიდან, ესპანელთათვის უსიამოვნო ცნობები მოდიოდა, მწვრთნელი ხვდებოდა, რომ გუნდისთვის ბულგარელებთან მატჩი შესაძლოა ბოლოც ყოფილიყო და ამიტომ ბასკ იულენ გერეროს მისცა მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოჩენის საშუალება.

მაგრამ დავუბრუნდეთ პირველ ტაიმს, რომლის განმავლობაშიც ოდესღაც დიდი ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი არც კი ეტყობოდა მოედანს. მისი თანაგუნდელებიც რაღაც უმარილოდ თამაშობდნენ.

როდესაც ანგარიში 2:0 გახდა, ბულგარელთა თავკაცმა ხრისტო ბონევმა ანატოლი ნანკოვის ნაცვლად გამოცდილი თავდამსხმელი, სწორედ ესპანურ კლუბებში თამაშით ცნობილი ლიუბო პენევი შეიყვანა მოედანზე. ამრიგად, ტაიმის ბოლოს, წინა ჩემპიონატის თანახმად, მსოფლიოს მეოთხე გუნდი, სამი ფორვარდით შეეცადა ესპანელთა უპირატესობის დაცემას. ამ სიახლემ ორი მომენტი შვა. ჯერ სტოიჩკოვმა დაადასტურა, რომ მიუხედავად კარიერის რთული დროებისა, ფეხბურთში ბრძენკაცად რჩება. მან ქუსლით ვირტუოზული პასი გადააწოდა ახალშესულ პენევს, მაგრამ პენევმა შედეგიანად დარტყმა ვერ მოახერხა. შემდეგ, საკუთრივ პენევი შეიჭრა ესპანელთა საჯარიმოში მარჯვენა მხრიდან და ბალახზე გაიშხლართა. მიზეზი სუბისარეტას მიერ გამოდებული კვანტი გახლდათ, რომელიც ცნობილმა ჰოლანდიელმა მსაჯმა მარიო ვან დერ ენდემ ვერ შენიშნა და პენალტი არ დანიშნა.

შესვენების შემდეგ პირველივე, რაც კაცს თვალში მოხვდებოდა, სტოიჩკოვის არყოფნა გახლდათ. ნეტავ რად შეცვალა ბონევმა ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი? შესაძლოა, მან ტრავმა მიიღო, შესაძლოა მწვრთნელმა იფიქრა მას გავიყვან და მოედანზე უკეთესს შევიყვანო (თუ ასე შემცდარა), ხოლო შესაძლოა, სტოიჩკოვმა შესვენებისას, გასახდელში იჩხუბა და სულაც თავად იუარა მეორე ტაიმში მოედანზე გასვლა.

ასე იყო თუ ისე, ბულგარეთმა უფსკრულისკენ სვლა განაგრძო, თუმცა მანამდე...

ემილ კოსტადინოვმა ესპანელთა საჯარიმოში მიიღო ბურთი და ახლოდან ძლიერი დარტყმით ვეტერან მეკარეს ანდონი სუბისარეტას კუთხეში გაუძვრინა.

შემდეგ ესპანეთმა კიდევ სამი გოლი შეაგდო, თუმცა შეიტყო, რომ ტულუზში ნიგერიამ პარაგვაისთან წააგო და აღარ გახარებია.

ილია ბაბუნაშვილი

| ესპანეთი | | | |
|---|---|---|---|
| | 1. სუბისარეტა | | |
| 15. აგილერა | 4. ალკორტა | 20. ნადალი | 2. ფერერი |
| 17. ეჩებერია | 6. იერო | 21. ლუის ენრიკე | 18. ამორი |
| | 7. მორიენტესი | 11. ალფონსო | |
| | 8. სტოიჩკოვი | 7. კოსტადინოვი | |
| 19. ბაჩევი | 10. ბალაკოვი | 16. ნანკოვი | 18. ბორომიროვი |
| 2. კიშიშევი | 3. ივანოვი | 13. გინჩევი | 5. იორდანოვი |
| | 1. ზდრავკოვი | | |
| ბულგარეთი | | | |

შეცვლა: ნანკოვი — 9. პენევი (29), სტოიჩკოვი — 11. ილიევი (46), ეჩიბერია — 10. რაული (52), ბალაკოვი — ხრისტოვი (60), ალფონსო — 19. კიკო (65), ლუის ენრიკე — გერერო (70)

გაფრთხილება: აგილერა, პენევი, გერერო, ბაჩევი

მთავარი მსაჯი: მ. ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

### მატჩის შემდეგ

ხავიერ კლემენტე, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი: „რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი დიდებული მატჩი უაზრობა გამოდგა. რაღა დამრჩენია, პარაგვაელებს გამარჯვებას ვულოცავ. გულზე დიდი სევდა კი მაწევს, მაგრამ ვიცი, რომ ცხოვრება გრძელდება. ვგონებ, დღევანდელმა შეხვედრამ ისიც დაამტკიცა, რომ ჩვენი უთავმოყვარონი არ ვართ. მთლიანად, სამი შეხვედრაც არ იყო სამარცხვინო. მოვიგეთ თუ წავაგეთ, გუნდმა ერთსულოვნება გამოამჟღავნა".

ხრისტო ბონევი, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი: „ცხოვრებაში ჩემი ღირსება და პრინციპები გამაჩნია, ამიტომაც ვაცხადებ, რომ დღევანდელის მერე მე გუნდში მწვრთნელად დარჩენის უფლება აღარ მაქვს. წარმომიდგენია, როგორ გავაწბილეთ გულშემატკივარი. სამწუხაროდ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის იმედის გასაცრუებელი აღმოჩნდა. ჩვენ D ჯგუფის ყველაზე სუსტი გუნდი გამოვდექით... ახლა წარუმატებლობის მიზეზებს უნდა ჩავუკვირდეთ. თუმცა ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გუნდი წინასწარვე დანებებული გავიდა მოედანზე. ფეხბურთელებმა, უბრალოდ, არ იბრძოლეს.

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. იეროს დარტყმული ჯარიმა ზდრავკოვმა ცხრიანიდან მოხსნა.
5. საჯარიმოში შეჭრილი ლუის ენრიკე იორდანოვმა წააქცია. იერომ პენალტი უნაკლოდ შეასრულა 1:0.
18. ლუის ენრიკემ ალფონსოსგან გონივრული პასი მიიღო, ნანკოვს აუღელვებლად გვერდით ჩაუარა და შორეულ კუთხეში დაარტყა 2:0.
22. მორიენტესის თავური ზდრავკოვმა მოიგერია.
23. სუბისარეტა პირველად ჩაერთო თამაშში. კოსტადინოვს კარგი მომენტი გააცუდებინა.
30. მორიენტესს ისევ მეკარემ აჯობა. ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული მოიხელთა.
33. ივანოვის უძლიერესი ჯარიმა სუბისარეტამ მუშტებით უკუაგდო.
34. სტოიჩკოვმა ქუსლური პასით პენევი მეკარესთან პირისპირ დატოვა. სუბისარეტამ რთული ბურთი მოიგერია, სტოიჩკოვის დამატებული კი სერხიმ კუთხურზე გადააგდო.
39. ისევ მორიენტესის თავური. ამჯერად ბულგარელები ხარიხამ იხსნა. გადმოვარდნილი ბურთი კი ლუის ენრიკემ ზდრავკოვს მოარტყა.
52. მორიენტესის გოლის დროცდადგა. ლუის ენრიკეს პასი დაუფასა და პირისპირ გასულმა შეაგდო 3:0.
54. მორიენტესს კიშიშევმა აჯობა. კარი ცარიელი იყო, თუმცა მცველმა ესპანელს დაასწრო.
55. კოსტადინოვმა შემოტრიალებით, ახლოდან ეფექტური გოლი გაიტანა, ასე ვთქვათ, პრესტიჟისა 3:1.
65. სუბისარეტამ მეორედ კოსტადინოვს აღარ გაატანინა.
66. ისევ ამათი ორთაბრძოლა. მეკარემ კვლავ იყოჩაღა.
68. ხრისტოვმა სცადა გოლის გატანა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ სუბისარეტამ ერთი გაშვებული გოლი იკმარა.
69. აგილერამ ნამეტანი დააყოვნა კარში დარტყმა, მცველმა წაურტყა ბურთზე ფეხი. ხოლო მერე რაულმა საკმაოდ ააცილა.
78. გერერომ ბურთი ბადეს გარედან მოარტყა. არადა, ცოტა მიზანი რომ გაესწორებინა, უეჭველი გოლი იქნებოდა.
79. რაულმა მორიენტესს უპასა და ზდრავკოვთან ცხვირწინ დარჩენილმა მშვიდად გააკეთა თავისი საქმე. მორიენტესმა მეორედ იყოჩაღა 4:1.
88. კუთხურიდან ჩაწოდებულს კიკომ თავი შეაგება. ბურთი მეკარეს მოხვდა, მერე ხარიხას, ისევ მეკარეს, ძელს და 5:1.
90. ხრისტოვმა ერთხელაც სცადა გოლის გატანა. სუბისარეტამ, არაო.
90. კიკო მეტოქის საჯარიმოში დატრიალდა და ზდრავკოვს ბურთი ფეხებში გაუძვრინა. ბულგარელთა შერცხვენა და განადგურებაც ამით მორჩა 6:1.



ბულგარელ მცველ ანატოლი ნანკოვთან ამ ორთაბრძოლის შემდეგ ესპანელი ფორვარდი ხოსება ეჩებერია მალე შეცვალეს

# პარაგ-ვაი ესპანეთო!

მატჩი №40. 24 ივნისი. ტულუზი. სტად მუნისიპალი. 37 000 მაყურებელი

## ნიგერია 1:3 პარაგვაი

0:1 აიალა (1); 1:1 ორუმა (10); 1:2 ბენიტესი (59); 1:3 კარდოსო (86)

ერთ თამაშს ნიგერია ჯგუფში, როგორც წესი, აგებს ხოლმე, თუმცა საბოლოოდ მაინც პირველი ადგილზე რჩება და მერვედფინალშიც ჯგუფის გამარჯვებულის სახელით გადის. 1994 წელს აფრიკელებმა ბულგარეთი და საბერძნეთი დაამარცხეს. მართალია, არგენტინასთან წააგეს, მაგრამ მერვედფინალში მაინც გააღწიეს. წელს კი ესპანეთის და ბულგარეთის ძლევის შემდეგ კვლავ სამხრეთამერიკელებთან, ამჯერად პარაგვაელებთან დამარცხდნენ, თუმცა ჯგუფში `ირველი ადგილი არ დაუკაგავთ.

ნიგერია ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში. მათი უსუსური თამაშის გამო კი ბულგარელთა მიწასთან გამსწორებელი ესპანეთი ძალიან დაიჩაგრა. კაცმა რომ თქვას, ესპანელთა წარუმატებლობა თავად ხავიერ კლემენტეს და მისი გუნდის ბრალია. პირინეელებს ბრჭყალები, თუ ასეთი რამ საერთოდ გაჩნდათ, ბოლო მატჩში კი არა, თავიდანვე უნდა გამოეჩინათ. ასე თუ არ გააკეთეს, ამიტომაც მოუწიათ შინ ნაადრევად და უსახელოდ გაბრუნება.

და მაინც, სამწუხაროა, რომ ესპანეთის ბედი ნიგერიამ გადაწყვიტა. გუნდმა, რომელმაც პირველი ორი მატჩის შემდეგ უამრავი მხარდამჭერი გაიჩინა, ამ შეხვედრის შემდეგ კი ნახევარზე მეტი დაკარგა.

რა სჯობს იმას, როცა გუნდი ძლიერად თამაშობს. მთელ სულსა და გულს აქსოვს ბურთაობაში. ეს მართლაც დიდებული სანახავია, მაგრამ მაშინ კი ძალიან გწყდება გული, როცა კარგი გუნდის სუსტ, მეტიც ამაზრზენ თამაშს უცქერ. ნიგერიელები პარაგვაელებთან ისე ირჯებოდნენ, შეხვედრის გამარჯვებულის გამოცნობა არ გაგიჭირდებოდათ — უკვალოდ გამქრალიყო ბორა მილუტინოვიჩის შემუშავებული ტაქტიკა, წინასწარ დაგეგმილი კომბინაციები, ლამაზი, საკმაოდ სანახაობრივი ფეხბურთი. და რა ვიხილეთ სამაგიეროდ? — ნიგერიელთა უფერული თამაში, რამაც ესპანეთი მერვედფინალს მიღმა დატოვა. გუნდი, რომელიც ამა თუ იმ შეხვედრას ძალთა დაზოგვის მიზნით „ჩააგდებს", არა თუ ჩემპიონობის, პრიზიორობის ღირსიც არ არის. ბრწყინვალე მწვრთნელის ბორა მილუტინოვიჩისა და საკმაოდ კარგი ფეხბურთელების მიუხედავად, ნიგერია, ალბათ, მალევე გამოეთიშება მსოფლიოს ჩემპიონატს.

იქ, ლანსში, ესპანელებმა საქმეს პირველივე წუთიდან მიხედეს, ტულუზში კი ანგარიში პირველ წამებზე გაიხსნა — თანაგუნდელის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი სელსო აიალამ თავური დარტყმით ნიგერიელთა კარში გადაგზავნა — მერვედფინალისკენ მიმავალ გზაზე პარაგვაელებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს, საათნახევრის შემდეგ კი საბოლოოდ გაინაღდეს კიდეც შემდეგ წრეში თამაში.

მართალია, ნიგერიელებმა მალევე გაათანაბრეს, მაგრამ აფრიკელთა წინააღმდეგობაც აქვე დასრულდა — დარჩენილ დროში პარაგვაელთა უპირატესობა საგრძნობი იყო, რომელიც კიდევ ორ გოლში აისახა, საბოლოოდ კი ჯგუფის გამარჯვებულებთან მოგება მერვედფინალის საგზურად იქცა.

ვერ ვიტყვი, შეხვედრა მოსაწყენი გამოდგა-მეთქი, მაგრამ თვალწარმტაცი რომ არ იყო, ფაქტია. ორი განსხვავებული ფეხბურთის მიმდევარი გუნდი, განსხვავებული სტილის მოთამაშეები და რაც მთავარია, ძლიერი მწვრთნელები. თუ ნიგერიელთა თავკაც ბორა მილუტინოვიჩზე აქამდეც გვსმენია, ვგონებ, პარაგვაელთა ბრაზილიელი დამრიგებელი ცეზარ კარპეჯიანი ბევრისთვის უცნობი უნდა იყოს. ბრაზილიელი სპეციალისტის ხელშეწყობით პარაგვაელნი ძლიერად ათამაშნენ და შედეგებმაც არ დააყოვნა. არავინ იცის, როგორ დაასრულებენ ისინი მერვედფინალს, ამას მომავალი გვიჩვენებს, ახლა მთავარი ისაა, რომ მეორე ეტაპზე გასვლას სამხრეთამერიკელები არ გაუდიდგულებია.

მეორე ტაიმი პირველს გაცილებით სჯობდა — შესვენებისშემდგომ 45 წუთში იყო ყველაფერი ის, რაც ესოდენ საჭიროა დღევანდელ ფეხბურთში — ზუსტი გადაცემები, ფინტები, ლამაზი კომბინაციები და რაც მთავარია, შედეგი. ანგარიში, რომელმაც ესპანელები ძალიან დაამწუხრა.

გუშინ სამხრეთამერიკელები აფრიკელებს ნამდვილად სჯობდნენ — პასები გნებავთ, გააზრებული შეტევები თუ სხვა რამ, აშკარად იგრძნობოდა, რომ ნიგერია მეტოქემ დაჩრდილა.

...არწივი უძლიერესია ფრინველთა შორის. ნიგერიელებმაც ამიტომ შეირქვეს „სუპერ არწივები". საინტერესოა, რა შეიძლება ეწოდოს კარპეჯიანის გუნდს, ფეხბურთელთ, რომლებმაც ფრინველთა მეფედ წოდებულები დაამარცხეს? ალბათ, „სუპერ ფასკუნჯები".

ეს ცხადია, ხუმრობით. ისე კი პარაგვაიმ ნაღდად აჯობა უმოტივაციო ნიგერიას. ახლა წინ მერვედფინალებია, სადაც ძალების დაზოგვა გამორიცხულია. ყველას მობილიზება მართებს. მარცხი მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოთიშვის ტოლფასია.

**ლაშა გოდუაძე**


REUTERS ტულუზიდან

ხოსე კარდოსოს კარში დარტყმულ ბურთს ოკაფორიმ (№16) თვალი გააყოლა, რუფაიმ ხელიც წაატანა, მაგრამ...

### მატჩის შემდეგ

**ცეზარ კარპეჯიანი**, პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი: მთელს მსოფლიოში უბედნიერესი კაცი ვარ. გუნდმა მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა და სამართლიანად მოიპოვა მერვედფინალში თამაშის უფლება. მთელი შეხვედრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე მსხდომნი არაბუნებრივად ვნერვიულობდით და ყოველ მომენტს მინდორზე მყოფი ფეხბურთელების მსგავსად განვიცდიდით. ჩემი მოთამაშეები საუცხოოდ ირჯებოდნენ და მთელ საფეხბურთო სამყაროს დაანახეს თავიანთი სიძლიერე. მართალია, ჯგუფური ტურნირის პირველი ორი შეხვედრა უფერულად ჩავატარეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს გუნდს შეტევაში წარმატებით თამაში არ ძალუძს. ბევრი შეიძლება შემომედავოს, ნიგერიელებს მერვედფინალის საგზური განაღდებული ჰქონდათ და თავი არ მოიკლესო, მაგრამ ამ აზრს ნამდვილად ვერ დავეთანხმები. აფრიკელები თავდადებით იბრძოდნენ, რამდენჯერმე კი ჩვენს კარს რეალურადაც დაემუქრნენ. თუმცა ჩვენმა აქტიურობამ მაინც თავისი გაიტანა. მეტოქე საჯარიმოს მივაჯაჭვეთ და სახიფათო მომენტების კორიანტელი დავატეხეთ თავს. ვფიქრობ, გამარჯვება სრულიად დამსახურებულად მოვიპოვეთ, რაც ძირითადად გუნდის შეუვალმა დაცვამ განაპირობა.

**ბორა მილუტინოვიჩი**, ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი: მატჩის შედეგი სრულიად ლოგიკური იყო. პირველი ორი შეხვედრის შემდეგ მერვედფინალში თამაშის უფლება განაღდებული გვქონდა და დღეს თავის შეწუხებას, უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთი მოთამაშე დისკვალიფიცირებული იყო, ხოლო სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა წინა თამაშებში ყვითელი ბარათები მიიღეს და დღეს გაფრთხილების შემთხვევაში შემდეგი წრის შეხვედრას გამოტოვებდნენ. ეს არანაირად ხელს არ გვაძლევდა, რადგან ისინი გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან და მათი არყოფნა მერვედფინალში თითქმის ასი პროცენტით წაგებას მოასწავებდა. ამიტომ, ვფიქრობ, გონივრულად მოვიქეცი. საუკეთესო შემსრულებლებიც შემოვინახე და ახალბედებსაც თავის გამოჩენის კარგი შანსი მივეცი. სიმართლე გითხრათ, ესპანეთის ძლიერ გუნდზე გული მწყდება, ბოდიშიც კი მინდა მოვუხადო მათ მწვრთნელ კლემენტეს და თავად ფეხბურთელებს. მაგრამ რას იზამ, ეს ხომ ფეხბურთია, სადაც ძლიერი იმარჯვებს. აბა, რა ჩვენი ბრალია, პირველ შეხვედრაში ესპანელებზე უკეთ თუ ვირჯებოდით და 3:2 დავამარცხეთ. ახლა ნიგერიის გარდა, სხვებზე ფიქრის დრო ნამდვილად არ მაქვს. იქნებ ზოგს არ მოსწონს შექმნილი სიტუაცია, მაგრამ ფაქტი ერთია, ჩვენ ექვსი ქულა დავაგროვეთ და ჯგუფის გამარჯვებულები გავხდით.

**მიგელ ბენიტესი**, ნიგერიის ნაკრების კარში მეორე და გადამწყვეტი გოლის გამტანი: წარმოუდგენელ შედეგს მივაღწიეთ. ძალიან სასიხარულოა, რომ იმ ჯოჯოხეთურმა შრომამ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში, ანუ ბოლო ორი წლის მანძილზე გავწიეთ, უქმად არ ჩაიარა. მერვედფინალში გასვლა უდიდესი მოვლენაა პარაგვაის ფეხბურთის ისტორიაში.

### ნიგერია

1. რუფაი

17. ეგუავონი | 16. ოკაფორი | 6. ვესტი | 15. ოლისე

13. ბაბანგიდა | 11. ლავალი | 19. იროჰა

4. კანუ

9. იეკინი | 18. ორუმა

9. კარდოსო | 11. სარაბია

17. ბრისუელა | 20. კანისა | 16. ენსისო | 15. ბენიტესი

4. გამარა | 13. პარედესი | 2. არსე | 5. აიალა

1. ჩილავერტი

### პარაგვაი

შეცვლა: ოლისე — 21. ოკპარა (46), კანისა — 7. ეგროსი (55), ბენიტესი — 10. აკუნია (68), ორუმა — ფინიდი ჯორჯი (69), ბრისუელა — როხასი (78)

გაფრთხილება: ეგუავონი, იროჰა

მთავარი მსაჯი: პ. უნ-პრასერტი (ტაილანდი)

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. არსემ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მეკარის მოედანზე ჩაჰკიდა, იქ აიალა ყველაზე მაღლა ახტა და ანგარიშიც გაიხსნა.

10. ოლისემ დაახლოებით ო[illegible] მეტრიდან ყუმბარისებურა[illegible] დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გავიდა.

9. ოკაფორმა კუთხური მოაწოდა. საჯარიმოში ყველაზე უკეთ ორუმა გაისარჯა, მაღალი ბურთი თავით კარისკენ გადაგზავნა, მაგრამ მცველმა იყოჩაღა და კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

10. ოლისეს მარცხნიდან საჯარიმო მოედანში ლავალს გაუჭრა, ამან სახიფათოდ ჩააწოდა და ორუმამ ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა.

12. ოლისემ კვლავ უძლიერესად დაარტყა. ჩილავერტი ბურთს მისწვდა და კუთხურზე მოიგერია.

18. პარაგვაელების მასიური შეტევა კარდორსომ დააგვირგვინა, მაგრამ მსაჯმა მიიჩნია, რომ თამაშგარე იყო და ბურთი არ ჩათვალა.

21. ვესტმა კარგად ჩაჰკიდა საჯარიმოში, მაგრამ კანუმ ბურთს ვერ მიუსწრო და მომენტიც დაიკარგა.

24. ორუმას მშვენიერი შანსი მიეცა, მაგრამ საჯარიმო მოედანზე შეჭრილმა ბურთი ვერ დაიმორჩილა და მცველმა სიტუაცია განმუხტა.

30. ოლისეს სახიფათო დარტყმა კარს ზემოდან გადასცდა.

33. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული იეკინიმ მკერდზე ჩამოიღო, კარგადაც გაისშორა, მაგრამ დარტყმა ვერ გამოუვიდა.

37. პარედესმა ნიგერიელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბრისუელამ კი ვერ ივარგა.

44. კვლავ პარაგვაელთა შეტევა. პარედესი ფლანგზე გაიჭრა, სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ საბოლოო დარტყმა კარდოსას არ გამოუვიდა.

49. ისევ კარდოსო აქტიურობს. მისი ოცი მეტრიდან დარტყმული კარს ოდნავ ასცდა.

52. საჯარიმო მოედნის კუთხიდან მოჭრილ დარტყმას ბრისუელა ასრულებს. რუფაიმ კარგად აული ალღო დარტყმულს და მოიგერია.

55. კანუს ურეალურესი მომენტი ექმნება. იგი კუთხურიდან ჩაწოდებულს თავს ახვედრებს, მაგრამ მეკარეს მშველელად მთცველი ევლინება.

59. პარაგვაის მეორე გოლი მართლაც მშვენიერი იყო. ოციოდ მეტრიდან ბენიტესმა დაჰკრა და ზედა ძელიდან ასხლეტილი ბურთი კარის ბადეში აღმოჩნდა. რუფაი უძლური იყო.

69. კარდოსო მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგა.

86. კარდოსოს აქტიურობამ შედეგი გამოიღო. საჯარიმოში შეჭრილმა კარგად დაარტყა და მცველები და მეკარე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.


REUTERS ტულუზიდან

პედრო სარაბიამ ეს მაკრატელა ავგუსტინ ეგუავონსაც გადააცილა და ნიგერიელთა კარსაც

# გამარჯვებული დამარცხებულნი

მატჩი №37. 24 ივნისი. ლიონი. სტად ჟერლანი. 44 000 მაყურებელი

## საფრანგეთი 2:1 დანია

1:0 ჯორკაეფი (13პ); 1:1 მ. ლაუდრუპი (42პ); 2:1 პეტი (56)

16. ბარტეზი
18. ლებეფი
19. კარემბუ 8. დესაი
11. პირესი 4. ვიეირა 2. კანდელა
17. პეტი
6. ჯორკაეფი
20. ტრეზეგე 13. დიომედი

11. ბ. ლაუდრუპი
2. შიონბერგი 10. მ. ლაუდრუპი 21. იორგენსენი
7. ნილსენი 6. ჰელვეგი
3. რიპერი
5. ჰაინცე 13. ლაურსენი
4. ჰოგი
1. შმაიხელი

დანია

შეცვლა: ლაურსენი — 12. კოლდინგი (46), იორგენსენი — 19. სანდი (55), პეტი — 14. ბოგოსიანი (65), პირესი — 12. ანრი (72), ბ. ლაუდრუპი — 15. ტოფტინგი (75), ტრეზეგე — 9. გივარში (86)

გაფრთხილება: დიომედი, ვიეირა, კოლდინგი, ტოფტინგი

მთავარი მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

გუშინ საფრანგეთმა ამ მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად განაახლა ტაიმის ბოლოს თამაში ცენტრიდან. ფრანგთა მეკარე ფაბიენ ბარტეზს წინა ორ მატჩში გოლი არ გაუშვია. ჩემპიონატის მასპინძლები ჯერჯერობით ერთადერთნი არიან ჯგუფური ტურნირი ქულადაუკარგავად რომ ჩაათავეს. იგივეს შანსი ნიგერიას, რუმინეთს, ხორვატიას და არგენტინასაც აქვთ, თუმცა ბოლო ორიდან ერთ-ერთს მაინც უეჭველად დათმობა მოუწევს, რადგან ბოლო ტურში ერთმანეთს ეთამაშებიან.

რას იზამენ ბოლო ტურში რუმინელები, ფრანგებს უკვე ნაკლებად ანაღვლებთ, აი, ნიგერია — პარაგვაის მატჩმა კი პირდაპირ თუ ირიბად ემე ჟაკეს გუნდის მეტოქე უნდა გამოავლინოს.

საფრანგეთმა ჯგუფში ტრიუმფით გაიმარჯვა, მაგრამ მეტოქის სარჩევში, ცხადია, მაინც არ ყოფილა. ფრანგებმა თავისი საქმე მოილიეს და მეწყვილედ ესპანეთს ან პარაგვაის ელოდნენ.

ჩემპიონატის მასპინძელთა თავკაც ემე ჟაკეს გუშინდლამდე ფიქრი მოსძალებოდა. რა უნდა ჰქონოდა მერვედფინალში წინა ტურშივე გასული გუნდის მწვრთნელს საფიქრალი, თუ არა შემადგენლობა. საუდელის ჩაწიხლვისთვის ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასჯილი ზიდანი ფრანგებს გუშინაც აკლდათ და ვერც D ჯგუფის მეორესთან ჭიდილში დაეხმარება ვერაფრით. ჰოდა, ჟაკესაც ზიდანის შემცვლელის გარდა თითოგაფრთხილებიან ბლანის, ლისარასუს და დეშამპის ბედი აღელვებდა.

საფრანგეთმა არ გარისკა, ყველა გაფრთხილებული და ლილიან ტურამიც დაასვენა. მათი შემცვლელიც მოიძებნა. დაცვა კარემბუმ, ლებეფმა და დესაიმ გაამაგრეს, ნახევარდაცვაში კი ვიეირა და პეტი ირჯებოდნენ ჯორკაეფის უკან. სხვათა შორის, ერთხელ მსაჯს თეთრი არსენალელისთვისაც ეჩვენებინა ყვითელი ბარათი. ისე გამოვიდა, ჟაკემ პეტი გასწირა, მაგრამ ნაკლები რისკიც დაუფასდა, ემანუელმა გოლიც გაიტანა და მსაჯსაც თვალში ცუდად არ მოსვლია.

არხეინი ფრანგების მწვრთნელი არ იყო და ბო იოჰანსონი როგორ იქნებოდა. და მაინც, დანიელთა თავკაცი თავს იმშვიდებდა — ვიგჰორსტ და მოლნარგამოკლებულიც ვარაუდობდა ფრანგთა ძლევას. არც უზიდანო საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობის ამოცნობაზე ვიმტვრევ თავს — მეტოქეს საგანგებოდ არასდროს ვაკვირდებიო. არც მთლად ასე იქნებოდა, მაგრამ იოჰანსონს მაინც გაუმართლა. გაუმართლა, რადგან კი წააგო, მაგრამ საუდელთა დახმარებით ოთხი ქულა იკმარა მერვედფინალში გასაძრომად.

გეგმები კი დანიამ დიდი დასახა. ასაკოვან მიქაელ ლაუდრუპისთვის შავი სამუშაოს ასაცილებლად ბომ ორი საყრდენით ნილსენით და ჰელვეგით ითამაშა, ამით თავდასხმას კაცი მოაკლდა, დარჩა ბრაიანი წინ მარტოკა და აკი ვერც იხეირა, შესაცვლელიც შეიქნა. ამ მატჩში მოგებული ჯგუფში პირველ ადგილს ინაღდებდა. ყაიმით დანია წელგამართული მეორე იქნებოდა, თუ აფრიკელები დიდი ანგარიშით არ მოიგებდნენ. წაგება კი, შავთაგან საუდელთა ძლევის შემთხვევაში, ცხადია, ხიფათს უქადდათ. სხვაგვარად მოხდა

ლიონში ბორდოს მატჩის ანგარიში რომ გამოაცხადეს, თამაშის გასრულებას 5-6 წუთი აკლდა და დანია 1:2 აგებდა. წამებით ადრე შმაიხელმა ბურთი ტრიბუნაზე მოიგერია, ბიჭებო, დაისვენეთო. ეს იყო და, ისიც თქვეს, საუდელები აფრიკელებს უგებენო. ჰოდა, დანიელების მეკარეს ფრანგების კარში გატანა, მგონი ისე არ გაუხარდებოდა, ეს რომ გაუხარდა.

საკუთრივ ეს მატჩი დიდი ვერაფერიშვილი იქნებოდა, ფრანგებს ლიონელ ქომაგთა გახარება თავიდანვე რომ არ ამოეჭრათ გულში და დროდადრო მეტოქეზე ჯიქური იერიშიც არ მიეტანათ.

პირველად ჯორკაეფმა ახეირა საფრანგეთი, ჰოგი და დანია ტრეზეგესთან უხეშობისთვის პენალტით რომ დასაჯეს.

ვიკინგებმაც პენალტით გააყაიმეს, მიქაელ ლაუდრუპმა იორგენსენის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი შანსი გამოიყენა. ფრანგებს კი, როგორც ვთქვით, ემანუილ პეტიმ მოაგებინა, კუთხურიდან გადმოვარდნილ და ვიეირას ნაცოდვილარ ბურთს შორიდან შმაიხელის კარში რომ მიუჩინა ადგილი.

**ვახტანგ გზირაძე**



ფაბიენ ბარტეზმა ბურთი ზედ კარის ხაზზე შეათამაშა და ისე დაეუფლა

### მატჩის შემდეგ

**ემე ჟაკე**, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩვენ სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საერთოდ ჯგუფური ტურნირის სამივე შეხვედრაში საკმაოდ კარგად გავისარჯეთ და, ვფიქრობ, პირველი ადგილი სამართლიანად მოვიპოვეთ. ბიჭები მოედანზე დიდი შემართებით გავიდნენ. მათ სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ გუნდი მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის, ზინედინ ზიდანის გარეშეც დიდ ძალას წარმოადგენს. თუმცა, გამარჯვების მიუხედავად, ზიდანი ნაკრების განუყოფელი ნაწილია და მოედანზე მისი არყოფნა საკმაოდ დაგვეტყო.

ჩემპიონატზე სამივე მატჩის მოსაგებად უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა. ჩვენი ბურთების შეფარდების შემხედვარე კაცმა იქნებ იფიქროს, რომ მეტოქეებს იოლად ვუსწორდებოდით, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, ასე არ ყოფილა. დანიაზე რომ არაფერი ვთქვათ, საუდეთისა და სამხრეთ აფრიკის ფეხბურთელები, რომელთაც დიდი ანგარიშით მოვუგეთ, წარმოუდგენლად მარჯვედ მოქმედებდნენ და დიდ პრობლემებს გვიქმნიდნენ. მაგრამ ჩემი გუნდის გამოცდილებამ და დახვეწილმა საფეხბურთო აზროვნებამ თავისი გაიტანა. ნაკრების თამაშის შემხედვარე, დარწმუნებული ვარ, სწორ გზაზე ვდაგავართ. ახლა კარგი დასვენება გვჭირდება, რათა მერვედფინალური შეხვედრისთვის სათანადოდ მოვემზადოთ. იმედია, ამ ბარიერსაც წარმატებით გადავლახავთ და უფრო დიდ მიზნებს შევეჭიდებით. დღევანდელ მეტოქეზე კი ის შემიძლია ვთქვა, რომ მათი ფეხბურთელები არც ისე რიგიანად ირჯებოდნენ. ლაუდრუპებს გაცილების მეტი ძალუძთ, მაგრამ ჩვენთან შეხვედრაში რატომღაც მეტად უნიათოდ გამოიყურებოდნენ. პირველი ნახევრის მიწურულს მსაჯმა ცოტა საეჭვო პენალტი კი დაუნიშნათ, მაგრამ მაინც მჯეროდა, რომ დანიელებს დავამარცხებდით. ისე კი, მინდა ჩვენს დღევანდელ მეტოქეს შემდეგ ეტაპზე გასვლა მივულოცო და წარმატება ვუსურვო.

**ბო იოჰანსონი**, დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. მაგრამ დღეს ამაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება არც ღირს, რადგან, წაგების მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე გასვლა მაინც მოვახერხეთ. ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. იყო მომენტი, როდესაც მატჩის მსვლელობისას 0:1 ვმარცხდებოდით და სამხრეთ აფრიკა — საუდეთის შეხვედრაშიც იგივე ანგარიში კიაფობდა ტაბლოზე, ერთ წამს თავში იმ აზრმაც გამიელვა, რომ განწირულები ვიყავით და მერვედფინალის საგზურს ხელთ უეჭველად აფრიკელები იგდებდნენ. მაგრამ ბიჭებმა გამონახეს ძალები, მეტი სიმწვავით შეუტიეს და პირველი ტაიმის მიწურულს სანუკვარი გოლიც გავიტანეთ. ისე კი მინდა ვაღიარო, რომ საფრანგეთის ნაკრები ჩვენზე უდავოდ ძლიერია და მათი გამარჯვება სრულიად სამართლიანი გახლდათ. ჩვენთვის ისიც საპატიოა, ასეთი უფერული თამაშით მეტოქესთან მხოლოდ მინიმალური ანგარიშიც რომ დავმარცხდით. საბოლოოდ, ყველაფრის მიუხედავად, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მოთამაშეებს, რადგან მათ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება მოახერხეს და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება დაიბევეს. საფრანგეთში ჩამოსვლამდე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ, როგორც რეალობამ აჩვენა, წარმატების მიღწევა უკიდურესად გაგვიჭირდა და მხოლოდ მეტოქეთა წარუმატებლობის ხარჯზე მივაღწიეთ მიზანს. ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა ალბათ მორალურად სრულიად განადგურებულნი ვიქნებოდით. მერვედფინალში ნიგერიელებთან მოგვიწევს თამაში, ამ წყვილში ისინი ფავორიტები არიან, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია, რადგან „სუპერარწივების" სტილის გუნდს ადვილად ვშიფრავთ და საკმაოდ ხშირად ვამარცხებთ კიდეც.

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. ნილსენის შორიდან დარტყმული ბურთი დესაის მოხვდა და მიმართულებაშეცვლილი ბარტეზმა გაჭირვებით მოიგერია.
5. ჯორკაეფის ქუსლური პასი, ვიეირას ახლოდან დარტყმული, შმაიხელმა ივარგა.
13. საჯარიმოში შეჭრილი ტრეზეგე ჰოგმა მოცელა. პენალტი ჯორკაეფმა დაარტყა, შმაიხელმა ბურთს ხელი წაატანა, მაგრამ ვერ მოიგერია.
17. ბრიან ლაუდრუპის შეუჩერებლივ დარტყმული ბარტეზმა აიღო.
24. დიომედის ფლანგურ გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, თუმცა ვიეირას უძლიერესად დარტყმული მცირედით გადასცდა კარს.
32. ნილსენი კარგად გასცდა ლებეფს, მაგრამ საჯარიმოს სიახლოვიდან უზუსტოდ დაარტყა.
34. ბრიან ლაუდრუპმა თავისივე წამოწყებული შეტევა ძლიერი დარტყმით დაასრულა, ფრანგები ბარტეზმა გადაარჩინა.
37. კუთხურიდან ჩაწოდებულს ტრეზეგემ დაჰკრა თავი, ააცილა.
39. დიომედის სახიფათოდ დარტყმული ჰელვეგს მოხვდა და მცირე მანძილით ასცდა კარს.
41. დიომედის პასის შემდეგ ტრეზეგე კარგად ურტყამდა, მაგრამ შმაიხელმა ივარგა.
42. მიქაელ ლაუდრუპმა ჯარიმა სწრაფად გაუთამაშა საჯარიმოში შეჭრილ იორგენსენს, რომელიც კანდელამ წააქცია. პენალტი უფროსმა ლაუდრუპმა უნაკლოდ შეასრულა — 1:1.
52. ჯორკაეფის მიწაზე დაუშვებლად დარტყმული შმაიხელმა გაჭირვებით მოიგერია.
56. ჯორკაეფის კუთხურიდან ჩაწოდებისას პეტიმ ისარგებლა საჯარიმოში შექმნილი არეულობით და ძლიერი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა.
66. ჯორკაეფის შორიდან ძლიერად გასროლილი კარს მცირედით ასცდა.
69. დიომედის შორეული დარტყმის აღება შმაიხელს არ გასჭირვებია.
81. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ტრეზეგეს ფეხზე აეჭრა და ჯორკაეფს კარგ მდგომარეობაში მიუვიდა, მაგრამ მან დარტყმა ვერ შეძლო.
83. ტრეზეგე საჯარიმოში საეჭვოდ წაიქცა, მაგრამ კოლინამ დანიელთა კარში პენალტი მეორედ აღარ დანიშნა.
90. ტოფტინგის შორიდან უძლიერესად დარტყმული ჯარიმა ბარტეზმა კარის ხაზზე აიღო.



მაღლა, სწრაფად, ძლიერად — მარსელ დესაიმ მიქაელ ლაუდრუპი დაჩაგრა

# ჩვენი ეზო

მატჩი №38. 24 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 36 500 მაყურებელი

## ს. აფრიკა 2:2 საუდეთი

1:0 ბარტლეტი (19); 1:1 ალ ჯაბერი (45პ); 1:2 ალ ტინიანი (73პ); 2:2 ბარტლეტი (90პ)

ზაფხულის შუადღე იყო.

ბიჭები ეზოში შეიკრიბნენ. გადაწყვიტეს, არჩევანი-არადანზე გავიყოთ და ბოთლა ლუდზე ფეხბურთი ვითამაშოთო. დაიწყეს თამაში, მაგრამ გვარიან სიცხეში სირბილი დაეზარათ და უხალისოდ აგორებდნენ ბურთს. მერე მზე გადავიდა და ზოგიერთმა მათგანმა გადაწყვიტა, რახან ზაფხულია, კაცი ცივი წყლითაც კარგად დაიბანს ტანს და გაუშვი, ვირბენო. ესენი კი დარბოდნენ, მაგრამ ვილაცამ იფიქრა, მოდი ამ სირბილს, პენალტები დავკრათ და ლუდის ამბავი ასე გავარკვიოთო. დაკრეს და ყველა გაიტანს. თამაში ფრედ დამთავრდა. ამასობაში ფეხბურთიც დაიწყო ტელევიზორში და ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ.

ამ ჩვეულებრივ ქალაქურ ამბავს ძალიან ჰგავდა ის მატჩი, ბორდოში რომ გაიმართა სამხრეთ აფრიკისა და საუდეთის გუნდებს შორის.

საუდეთის ნაკრები ბედნიერი იყო იმით, რომ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლას არ აპირებდა. ოღონდ გულში ხინჯად ჰქონდა, რომ ისე ტოვებდა ჩემპიონატს, მხოლოდ საკუთარ კარში მიღებული გოლების თვლა უწევდა. უფლისწულ ვალიდ ბენ ბადერ ბენ საუდს და მისი ოჯახის უფროს და გვირგვინოსან წევრებს დიახაც ეამებოდათ, რომ უდაბნოს შვილნი ღირსეულად გამოთხოვებოდნენ შეჯიბრს.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები ბედნიერი იყო იმით, რომ შეეძლო აუწერელი სიხარული მიენიჭებინა თავისი ქომაგებლისთვის. თუმცა, უბედური იყო იმით, რომ ამა ვერ მოახერხებდა. ნელსონ მანდელას ქვეყანა სარაგბო ამბავში კი არის მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონი ალბათ მაშინ გახდება, როცა ფრანსუა პინარის და იუსტ ფანდერვესტჰოიზენის გაქანებისა და შეძლების ხალხი რაგბს დააგდებს და „ბაფანა-ბაფანაში" მოვა ფეხბურთის სათამაშოდ.

ეს იყო ძალიან უცნაური თამაში.

აფრიკელებს მოგება სწყუროდათ და არ შეეძლოთ, თუმცალა შონ ბარტლეტმა დასაწყისშივე გახსნა ანგარიში და დაადასტურა, რომ მუჰამედ ალ დეიას ნებისმიერი გოლის გაშვება ძალუძს. სამხრეთ აფრიკას 2:0 მაინც უნდა მოეგო, დანიელებს კი ამავე ანგარიშით წაეგოთ ფრანგებთან. მაშინ ფილიპ ტრუსიეს ეგებ სათვალე მოეხსნა და სადლაც შორს გადაეგდო, ამიერიდან ამ ჩემპიონატზე საყურებელიც არაფერი მაქვს, რადგან გულისწადილი ავისრულეო. მაგრამ, სამხრეთ აფრიკა ორი ბურთით კი არა, ერთითაც ვერ მოიგებდა. ეს მალევე გაირკვა. თუმცალა, კვლავ შეგახსენებთ, ჯონ მოშოუს, ჰერმან მკალელეს, ბენი მაკართის, დოქტორ ხუმილოსა და მათ ძმებს ცდა არ დაუკლიათ. ჰა, თუ ძელი, ჰა თუ მაკრატელა, რომლის დარტყმაც, თავზეხელაღებულმა ბარტლეტმა გაბედა.

საუდელებს კი დროებითი მწვრთნელი მუჰამედ ალ-ხარაში სარდლობდა. ეს კაცი ბევრ წყალს სვამდა და ჩანდა, რომ მთავარი მწვრთნელის სავარძელს უმიზნებდა. ხსენებული კეთილი კაცი ახლო იყო სავარძელთან და თანამდებობასთანაც, რახანღა მისი გუნდი 2:1-ს იგებდა. მაგრამ თამაშის მიწურულს ალ-ხარაშიმ თავადვე მიატოვა სავარძელი და განაწყენებულმა გასწია გასახდელისკენ. მისი განრისხების მიზეზი ქართული საფეხბურთო ჟარგონით თუ ვიმსჯელებთ, ის იყო, რომ საუდელები „მსაჯმა დაწვა და პენალტი დაუდო".

შონ ბარტლეტი იმგვარად აბობოქრებულიყო, რომ იმ პენალტს არ გააფუჭებდა. არც გაუფუჭებია. თუმცა, ალ-ხარაშის ამისთვის აღარ უცქერია, უკვე გაქცეული გახლდათ. თითქოს დარწმუნებული იყო, რომ აფრიკელები გაიტანდნენ. რატომ არ იქნებოდა დარწმუნებული? იმ დღეს პენალტი არ წახდენილა — სამიდან სამი გავიდა. აქედან ორი საუდელებმა გაიტანეს. პირველი ალ-ჯაბერმა შეაგდო პირველივე ტაიმის მიწურულს, მეორე — ალ-ტინიანმა მეორეში.

საუდეთი იგებდა! მეტი ვაჟკაცობა რაღა გინდა?

საბრალო პიერ ისა კვლავ იქცა თავის კარში გოლის მიზეზად. მასა და იბრაჰიმ ალ-შაჰრანს საჯარიმოში ბურთისათვის ბრძოლა მოუხდათ. ეშმაკმა იბრაჰიმმა ისე წარმოსახა საქმე, რომ ისა დამნაშავე გამოვიდა. მაგრამ, ეს საუდელთა სასარგებლო მეორე პენალტი იყო. პირველი კი ი მავ ისას დაბრალდა. რაც შეეხება მესამე... იყო, იყო. ამ პენალტებისა აღარაფერი გამეგება. ჯგუფის ორ თამაშში ხუთი პენალტი დაიდო. მიდი და არკვიე, რომელი იყო და რომელი არა. თანაც მსაჯებს ვერაფერს გაუგებ. მგონი ბორდოში ცხელოდა. ჩილელი რეფერი მარიო სანჩეს იანტენი ისეთი რამეების აღმოჩენას ცდილობდა, რაც ნამდვილად არ იყო მოედანზე. როგორც ჩანს, ამ კაცს დიდად არ უყვარს თამაშიდან გასული გოლები და ისევე როგორც ჩვენი ეზოს დასიცხული ბიჭები, პენალტებს ანიჭებს უპირატესობას.

შემდეგ თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2 და ბიჭები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ისინი უკვე თვითმფრინავებში სხედან და თვლემენ. შაბათიდან აღარავინ დასჭექს „ბაფანა-ბაფანას" საფრანგეთის სტადიონებზე და ალბათ, მეფე ფაჰდიც აღარავის აჩუქებს „მერსედესს".

**ირაკლი გამყრელიძე**




საუდელთა კაპიტანი ფუად ამინი მაკრატელას კი ურტყამს, მაგრამ ფოტო ხშირად ცრუობს, გადასარევი ამ თამაშში არაფერი ყოფილა

### მატჩის შემდეგ

**ფილიპ ტრუსიე**, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ვერც ერთმა ფეხბურთელმა ჩემს მიერ მატჩის წინ მიცემული დავალება ზუსტად ვერ შეასრულა და შედეგიც შესაბამისი მოვიმკეთ. ვიცოდით, რომ მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ დიდი ანგარიშით გამარჯვება გვაძლევდა ხელს და ბიჭებსაც ამ მიზნისთვის ვმოძღვრიდი, მაგრამ, ეტყობა, ზედმეტად ინერვიულეს და ეს მატჩის დროს კარგად იგრძნობოდა. მათ ერთბაშად მოუნდათ რამდენიმე გოლის გატანა, მაგრამ ასე იშვიათად ხდება ხოლმე. როცა დავწინაურდით, იმედი მომეცა, რომ კიდევ უფრო გავზრდიდით ანგარიშს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ჩემი ფეხბურთელების გამოუცდელობამ იჩინა თავი. ყველფარის მიუხედავად, ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტანტის კვალობაზე ცუდად არ გვიასპარეზია. ორი ქულა მოვიპოვეთ და ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, ეგებ მერვედფინალშიც აღმოვჩენილიყავით. ყველაფერზე ხელი ჩაქნევა კი ნამდვილად არ ღირს, რადგან მოთამაშეებმა უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და იმავდროულად მთელს მსოფლიოს დაანახეს, რომ ფეხბურთის თამაში სამხრეთ აფრიკაშიც იციან. გამოგიტყდებით, როცა საფრანგეთში მოვდიოდით, მეგონა, უფრო წარმატებით ვითამაშებდით და სულ ცოტა ოთხ ქულას მოვიპოვებდით, მაგრამ რა გაეწყობა. ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის. ახლა ბევრი დრო გვექნება, რათა საფრანგეთში ჩვენი გამოსვლა დეტალურად გავარჩიოთ და იმედია, სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ.

**მოჰამედ ალ ხარაში**, საუდეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: დღეს ჩვენს თამაშს ცუდი ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ მთლიანობაში ჯგუფურ ტურნირში გუნდის გამოსვლით მეტად უკმაყოფილო ვარ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე სენსაცია მოვახდინეთ და მერვედფინალშიც ვიასპარეზეთ. ამ შედეგით შეგულიანებულებს იმედი გვქონდა, რომ ამას წლეულსაც გავიმეორებდით. ის, კი არა, არც იმას გამოვრიცხავდით, რომ მეოთხედფინალში გაღწევას მოვახერხებდით. თუმცა საფრანგეთში ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ჩვენ გვსურდა.

**ნავაფ ალ ტემიატი:** კარგი შეხვედრა ჩავატარეთ. სასიხარულოა, რომ პირველი ორი მარცხის შემდეგ გუნდი არ გატყდა და მსოფლიოს ჩემიონატზე ერთი ქულის მოპოვება მაინც შეძლო. აფრიკელებს ამ მატჩის მოგებით მერვედფინალის საგზურის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდათ და გაათმაგებული მონდომებით ირჯებოდნენ. ამიტომ ფრეს ჩვენთვის მეტად საპატიო შედეგად მივიჩნევ.




აკი ვთქვით, ფოტო ხშირად ცრუობსო — ამ ნახტომით ალი დეიას მკვდარი ბურთი არ მოუხელთებია

**ს. აფრიკა**

1. ვონკი

4. ჯეკსონი — 19. რადებე — 21. ისა — 3. ნაიტი

5. ფიში — 11. მკალელე — 7. ფორტუნი — 10. მოშოუ

17. მაკართი — 9. ბარტლეტი

11. ალ მეჰალელი — 9. ალ ჯაბერი

20. სალეჰი — 16. ხ. ალ ოვაირანი

15. ალ ტინიანი — 18. ალ ტემიატი

13. სულიმანი — 4. ზუბრომავი — 6. ამინი — 2. ალ ჯაჰანი

1. ალ დეია

**საუდეთი**

შეცვლა: **ჯეკსონი — 13. ბაკლი (46), მაკართი — 14. სიკოსანა (46), ალ მეჰალელი — 7. ალ შაჰრანი (65), ფორტუნი — 15. ხუმალო (73), ალ ტინიანი — 12. ალ ხარბი (81)**

გაფრთხილება: **ფორტუნი, რადებე, ხ. ალ ოვაირანი**

მთავარი მსაჯი: **მ. სანჩეს იანტენი (ჩილე)**

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. კუთხურიდან მკალელემ თავით ხელსაყრელ პოზიციაში დაუგდო ბენი მაკარტის, მის ძლიერად დარტყმულს აზიელი მცველი გადაელობა და მდგომარეობა განმუხტა.

15. სულიმანმა შორიდან უხეიროდ დაარტყა.

16. აფრიკელმა ბარტლეტმა ტექნიკურად მიაწოდა ბურთი ბენის, მაგრამ აზიელმა ამინმა მაკრატელათი უკუაგდო.

19. პიერ ისამ მოედნის თავისი ნახევრიდან გრძელი პასით ბარტლეტი საჯარიმოში მოძებნა, მანაც ადვილად ჩამოიცილა მეურვე, მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა და მეკარე პირლია დატოვა.

22. მოშოუმ საჯარიმოს მისადგომებთან მიწაზე დაუშვებლად გაისროლა, არაზუსტად.

26. სულიმანმა საჯარიმოში მყოფ ალ ჯაბერს გაუჭრა ბურთი. ეს უკანასკნელი ცდილობდა კარიდან ოდნავ წინგამოსული ვონკისთვის თავზე გადაეგდო, მაგრამ მეკარემ აკრობატული ნახტომით ბურთი კუთხურზე გადააგდო.

33. ბენი მაკართის ძლიერად დარტყმულს მცველი ალ ჯაჰანი მკერდით გადაელობა.

40. ბარტლეტმა, მას შემდეგ რაც აზიელ მცველს ტექნიკურად გადაუგდო ბურთი თავზე, მეკარესთან პირისპირ დატოვა ბენი მაკარტი, რომელმაც მოინდომა, მეკარისთვის თავზე გადაეგდო, მაგრამ ძლიერად გამოუვიდა.

45. ჩემპიონატის ალბათ ყველაზე უიღბლო ისამ ალ ჯაბერი საჯარიმოში თითქოსდა წააქცია და მსაჯმაც ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. თავად დაზარალებულმა დაარტყა. მეკარის ნახტომი ამაო გამოდგა.

52. შეცვლაზე შესულმა ბაკლიმ რამდენიმე მცველს აუარა გვერდი, ხელსაყრელი მდგომარეობიდან ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ მეკარე ადგილზე დახვდა.

56. ჯონ მოშოუს შეეძლო გაეტანა, მაგრამ კარიდან გამოვარდნილმა მეკარემ ბურთი ფეხებიდან ააცალა.

73. ალ შაჰრანმა აფრიკელთა საჯარიმოში იმდენი ქნა, სანამ ისას კვლავ პენალტი არ ააკიდებინა. ალ ტინიანი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ზუსტად გაისარჯა და თავისიანები დააწინაურა.

76. დოქტორ ხუმალომ ქუსლით ბარტლეტს უპასა, ეს უკანასკნელი ვარდნაში ურტყამდა, მაგრამ ალ დეია ბურთს ადვილად დაეუფლა.

85. ბარტლეტის თავური ალ დეიამ გააუვნებელყო.

88. ბაკლის საჯარიმოში ჩაკიდულზე მოშოუმ მაღალი ნახტომით ყველას დაასწრო და თავითაც დაარტყა. მაგრამ არაბები ხარიხამ იხსნა.

90. სულიმანმა ჯერი სიკოსანა საჯარიმოში მოცელა. ბარტლეტმა პენალტის ნიშნულიდან თავისი მეორე გოლი გაიტანა.

**მატჩი №41. ჰოლანდია — მექსიკა. სენტ ეტიენი. 18[00]**

# ნარინჯი აცტეკებისთვის

ჰოლანდიის ნაკრებს დიახაც რომ ჰყოფნის ფრე მექსიკელებთან შეხვედრაში. ასეთ შემთხვევაში ნარინჯის გუნდი ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაიჭერს ადგილს თექვსმეტ რჩეულს შორის. მაგრამ სენტ ეტიენში ჩასული დენის ბერხკამპი და მისი ამხანაგები მტკიცედ იმეორებენ, რომ უეჭველად უნდა გაიმარჯვონ. ასეთია ჰოლანდიელთა მწვრთნელის გუს ჰიდინკის განწყობა — ჰოლანდია ყოველთვის მოსაგებად გადის მინდორზე.

დაახლოებით იგივეს ამბობს ჰოლანდიელთა დღევანდელი მეტოქის, მექსიკის ნაკრების მწვრთნელი მანუელ ლაპუენტეც. მექსიკას წინსვლის ერთადერთი საშუალება აქვს — კვატემოკ ბლანკომ და ლუის ერნანდესმა სტუმართა კარის შორიახლოს უნდა ეძებონ მერვედფინალის საგზური.

დღევანდელი თამაშების წინ მდგომარეობა ასეთია: ჰოლანდიას 4 ქულა აქვს, 5 გოლი გაუტანია და არ გაუშვია, მექსიკასაც ამდენი ქულა აქვს; ოღონდ 5 გაუტანია და 3 გაუშვია. ბელგიელებს 2 ქულა მოუგროვებიათ და ბურთებიც 2-2-ზე აქვთ, მაგრამ ისინი კორეელებს ხვდებიან და იმას შეეცდებიან, რომ 3 ქულაც დაიმატონ და ბურთების მარაგიც იმგვარი შეიქმნან, რომ მერვედფინალში მოხვდნენ. ასეთ შემთხვევაში მექსიკელებსაც და ჰოლანდიელებსაც უხვგოლიანი ფრე მოაწყობდათ, მაგრამ ორი თავი ვისა აქვს?

ამიტომ, ორივე მწვრთნელი მოგებისთვის განაწყობს გუნდებს.

„კალკულატორს ხომ არ დავიჭერ ხელში? ფეხბურთში თვლა ძალიან ძნელია“, — ამბობს ჰიდინკი — „ამას სჯობს მოგებაზე ვიფიქროთ“.



სარჩიელის არქივიდან

ლუის ერნანდესი კიდევ აპირებს გატანას

ჰოლანდიელთა მწვრთნელი ღიად აცხადებს, რომ თავისი გუნდის ტაქტიკასა და შემადგენლობაში დიდ ცვლილებებს არ გეგმავს. კორეელებთან საუცხოო თამაშის შემდეგ ეს სისულელე იქნებოდა. პატრიკ კლუივერტი კვლავ დასჯილია. ამიტომ ბერხკამპს კვლავ ფილიპ კოკუ ამოუდგება მხარში: ეს წყვილი საუცხოოდ გაისარჯა გასულ უქმეებზე.

ჰიდინკი კვლავინდებურად მარკ ოვერმარსს ანდობს მარცხენა ფრთას, შუა მოედანში კი კვლავ ედგარ დავიდსი იბრძოლებს. აი, მარჯვენა ფრთაზე კი საფიქრალს რა გამოლევს. ამ მხარეს ჰოლანდიელთა თავკაცს სამი ღირსეული კაცი ჰყავს — რონალდ დე ბური, კლარენს ზეედორფი და ვიმ იონკი. სამივე ამათგანს შუა მოედნისკენ უფრო მოუწევს გული. ჰიდინკმა ბელგიელებთან მატჩის შემდეგ სკამზე დასვა ზეედორფი, თუმცა არც რონ დე ბურის თამაშითაა კმაყოფილი. იონკს კი თითქოს ლონე აკლიაო. ამიტომ, საფიქრალი მართლაც არის.

ჰოლანდიელები ძალიან კმაყოფილნი ჩანან კორეელებთან. ნათამაშევი მატჩის ხარისხით, თუმცა ჰიდინკს არც ის ავიწყდება, რომ რეალურად ასეც უნდა ყოფილიყო და გადასარევიც არაფერი მომხდარა. მართალია, კორეელთა გატეხვა გაჭირდა, მაგრამ მხოლოდ თავიდან, მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

რაც შეეხება მექსიკელებს, ჰიდინკი მათ ბელგიელებზე ძლიერ გუნდად მიიჩნევს და გამორჩეულ მოთამაშეებსაც ახასიათებს.

ლაპუენტეს გუნდში ასეთი ოთხი ყოფილა.

ჰიდინკის სიტყვით, „მწვავე“ თავდამსხმელი ლუის ერნანდესი, კვატემოკ ბლანკო „რომელიც მარცხნივაცაა, მარჯვნივაც და ცენტრშიც“, ხესუს რამირესი, რომელსაც „საუცხოო პასები აქვს და



სარჩიელის არქივიდან

ჰიდინკი მოსაგებად ემზადება

შემცვლელი ნახევარმცველი ხესუს არელანო.

მექსიკის ნაკრებმა კი უკვე დაამტკიცა, რომ უბრალოდ ნიჭიერი ფეხბურთელების კრებული კი არა, კარგი გუნდია. ბელგიასთან, 0-2-დან შემოტრიალებულმა თამაშმა ჰიდინკს თავსატეხი გაუჩინა.

„ყველას ეგონა, რომ ჩვენ ჯგუფში ჩავრჩებოდით. მგონი, საპირისპიროს ვამტკიცებთ და ჰოლანდია უნდა გვიფრთხილდეს“, — ამბობს ლაპუენტე.

მექსიკელები ერთხმად აცხადებენ, რომ მძიმე საღამოს უმზადებენ ნარინჯისფერთა გუნდს.

„ეგებ ჰოლანდია საუკეთესოც იყოს ჩვენს ჯგუფში, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მათი დამარცხება შეგვიძლია“, — ამბობს დუილიო დავინო. ეს საერთო ხმაა.

ჰოლანდია მართლაც ძლიერია, მაგრამ მექსიკას უკან დასახევი გზა არა აქვს.

მართალია გუს ჰიდინკი, რამდენიც არ უნდა უტრიალო კალკულატორს, მოედანზე ბურთი დევს და არა არითმეტიკის სახელმძღვანელო.

ამიტომ — კაცმა არ იცის, რა მოხდება და ვინ და როგორ დაიგულებს თავს მერვედფინალში. ამიტომ სენტ ეტიენიცა და პარიზიც, სადაც ამ ჯგუფის ბოლო თამაშები იმართება, შუადღის სიცხესთან ერთად, საფეხბურთო სიცხითაც დაწვავს გუნდებს.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ვინტერი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, რ. დე ბური, იონკი, დავიდსი, ოვერმარსი, კოკუ, ბერხკამპი

**მექსიკა:** კამპოსი, ტერასასი, ან კარმონა, კ.სუარესი, სანჩესი, დავინო, რამირესი, გარსია ასპე, პალენსია, ორდიალესი, ერნანდესი, ბლანკო

**ირაკლი გამყრელიძე**

# წითელ ეშმაკებს ჰოლანდია თუ უშველის

**მატჩი №42. ბელგია — კორეა. პარიზი. 18[00]**

ნიძლავის მოყვარულ გულშემატკივართათვის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ნახევარი მშვენივრად მიმდინარეობდა. გამარჯვებულის წინასწარ დასახელება ცოტას თუ გაუჭირდებოდა. დაიწყო ჯგუფური ტურნირის გადამწვეტი, მესამე მატჩები და ყველაფერი აირია. ახლა ველარავინ გაბედავს არათუ კონკრეტული გოლის გამტანის, არამედ საერთოდ შემდეგ წრეში გასული ნაკრების ხელაღებით დასახელებას. ამის ნათელი დასტური პირველ და მეორე ჯგუფებში გამართული მართლაც სენსაციური თამაშები გახლდათ. ვინ იფიქრებდა, თუ ნორვეგიელები ბრაზილიის გუნდს დაამარცხებდნენ, ანაც მაროკო უდრეკ, რაინდული სულის შოტლანდიას დააჩოქებდა. მოკლედ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან მდორე, ადვილად პროგნოზირებადი თამაშების მომსწრე აღარ გავხდებით და ისეთ ფეხბურთს ვიხილავთ, რომელსაც ასე სულმოუთქმელად ელის მილიონობით ქომაგი მთელი დედამიწის ზურგზე. იქნებ იფიქროთ, ბევრმა გუნდმა ხომ უკვე პირველი ორი ტურის შემდეგ დაკარგა მერვედფინალში გასულის შანსები და ამათგან კვლავაც ვაჟკაცურ თამაშს რაღად უნდა ველოდოთო. მე კი შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში საფრანგეთში უდიდესი საფეხბურთო ზეიმია. ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებები მასში ასპარეზობითაც კმაყოფილი არიან და თითოეული მატჩი უდიდეს დღესასწაულად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ ვერვინ მისცემს თავს უფლებას, რომ ერთი წუთითაც კი მოეშვას და მეტოქეს ადვილად გასეირნების საშუალება მისცეს. მაგალითად თუნდაც დაბეჩავებული კორეა გამოდგება. აზიელებმა ჯგუფური ტურნირის სასტარტო შეხვედრები, მსუბუქად რომ ვთქვათ, მთლად მაღალ დონეზე ვერ ჩაატარეს. მექსიკის ნაკრებთან თავდაპირველად კი დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ არბიტრმა სრულიად სამართლიანად ისინი კაცნაკლული დატოვა მოედანზე და ლათინოამერიკელებმაც გაილალეს. ამ თამაშის შემდეგ თუ კიდევ შეიძლებოდა კორეელთა გამართლება — სრული შემადგენლობით კარგად ირჯებოდნენ და მხოლოდ მაშინღა წააგეს, როცა ათი კაცით დარჩნენო, მათ მიერ ჰოლანდიელებთან საოცრად უსუსურად ჩატარებულ მატჩზე ამას ნამდვილად ვერ იტყვი. აზიელები საშინლად გამოიყურებოდნენ და აკი მათმა მთავარმა მწვრთნელმა ბუმ კუნ ჩამ თამაშის შემდეგ კორეის ფეხბურთის ფედერაციისგან საკადრისი პასუხიც მიიღო — ჰოლანდიასთან განადგურების მეორე დღესვე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ამის შემდეგ თითქოს აღარაფრის ინტერესი არ უნდა ჰქონდეს კორეას და უკანასკნელ შეხვედრაზე მოვალეობის მოხდის მიზნით გადიოდეს, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. მათი ახლადდანიშნული თავკაცის, კიმ პუნგ სეოკის წინამძღოლობით აზიელები ადრინდელზე უფრო გამალებით ემზადებიან ბელგიელებთან შესახვედრად. საქმე კი ისაა, რომ კორეის ნაკრებს მთელი თავისი არსებობის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ხუთჯერ უასპარეზია და აქამდე ერთ მოგებასაც კი არ ღირსებია. დღევანდელ მატჩამდე მათ ისეთი სტატისტიკური მონაცემები აქვთ, რომ მტერს არ უსურვებ — არც ერთი გამარჯვება, სამი ფრე და ათი წაგება. ამიტომ ახალი მწვრთნელი დღენიადაგ ჩასჩიჩინებს თავის ბიჭებს, რომ მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა საფრანგეთში ჩასატარებელ ბოლო შეხვედრაში მაინც მოახერხონ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა.

— ვიცით, რომ უძნელესი მატჩი გველის, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებთ. ბელგიელებს შემდეგ წრეში გასასვლელად უეჭველი სამი ქულა სჭირდებათ და იმავდროულად შეეცდებიან, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით გაიმარჯვონ. თუმცა ჩვენ ამის საშუალებას არ მივცემთ. კარგად ვიცი, ამ საღამოს ლიკენსის ტაქტიკური მონახაზი იმაზე იქნება დაფუძნებული, რომ ორივე ფლანგზე ჩემი გუნდის სუსტი თამაში გამოიყენოს და იქიდან მწვავე გარღვევებით კორეელი მცველების რიგებში არეულობა შეიტანოს, მაგრამ ამისთვის მზად ვიქნებით. ფლანგებზე საიმედო ნახევარმცველებს მივუჩენთ ადგილს და მეტოქის შეტევების სწრაფად განვითარების საშუალებას მოვუსპობთ — აცხადებს აზიელთა თავკაცი.

ამ დროს კი ბელგიას სულ სხვა პრობლემები აწუხებს. ჯგუფში სადღეისოდ შექმნილ ვითარებას თუ თვალს გადავავლებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ „წითელ ეშმაკებს“ შემდეგ წრეში გასვლის მეტად მცირე შანსი თუ დარჩათ, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ნაკლები, ვიდრე ჰოლანდიას და მექსიკას. ეს ორი დღეს ერთმანეთს ხვდებიან და თუკი მატჩი ფრედ დამთავრდება, მაშინ ხუთ-ხუთი ქულა დაუგროვდებათ. ამ შემთხვევაში ორი თამაშის შემდეგ ორქულიან ბელგიას მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად კორეელების სამი და უფრო მეტი ბურთის სხვაობით დამარცხება დასჭირდება. ხოლო თუკი ჰოლანდია — მექსიკის პაექრობაში რომელიმე მხარე იმარჯვებს, მაშინ „წითელი ეშმაკები“ ამ საღამოს ნებისმიერი ანგარიშით მოგების შემთხვევაშიც დაიბევებენ სანუკვარ ადგილს. თუმცა, როგორც ბელგიელი ფეხბურთელების გამონათქვამებიდან ჩანს, ისინი თავს არ გამოიდებენ კორეასთან სამი ბურთით მოსაგებად, უბრალოდ სამი ქულის აღებაზეც ყაბულს არიან.

ისე, ისიც უნდა ითქვას, რომ ბელგიელებს ჯგუფში სადღეისოდ შექმნილი ვითარება თავისუფლად შეეძლოთ, თავიდან აეცილებინათ. მათ ხომ აშკარა ფავორიტ ჰოლანდიასთან ფრე გაახერხეს, ხოლო უშუალო მეტოქეს — მექსიკის ნაკრებს მატჩის მსვლელობისას 2:0-ს უგებდნენ. თუმცა იმ თამაშში თავი იჩინა „წითელი ეშმაკების“ ძველმა სენმა — რგოლებს შორის არასათანადო კავშირმა და გაუგებრობამ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამხრეთამერიკელებმა შეხვედრაში გარდატეხა შეიტანეს და თითქმის წაგებული მატჩი გადაარჩინეს.

ჟორჟ ლიკენსმა დღევანდელი მატჩებისთვის თავისი გუნდის სავარაუდო შემადგენლობა სამშაბათ საღამოს დაასახელა, საიდანაც ცხადი გახდა, რომ ბელგიელთა რიგებში წინა მატჩებთან შედარებით, მცირე გადაადგილებებია მოსალოდნელი. „წითელი ეშმაკები“ კორეელებთან დენი ბოფინს მოისაკლისებენ, რომელსაც წინა კვირაში მექსიკელების წინააღმდეგ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. მინდორზე ამ საღამოს ალბათ არც ძირითადი შემადგენლობის გოლკიპერი ფილიპ დე ვილდე გამოვა. მას ძველი ტრავმა გამიზეზებია და შესაძლოა, კარში ადგილი სათადარიგო მეკარის - ფილიპ ვანდე ვალეს დაუთმოს. ასევე საეჭვოა გუნდის ვეტერანი ფრენკი ვან ლერ ელსტის თამაშიც. არადა, იგი ბელგიელთა ნამდვილი ლიდერი, მათი სული და გულია. ფრენკი მექსიკელებთან შეხვედრაშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე და მისი არყოფნა ნაკრებს შეიძლება ძალიან მძიმედ დაეტყოს.



სარჩიელის არქივიდან

ჟორჟ ლიკენსს (მარჯვნივ) მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს

თუ ლიკენსის მიერ დღევანდელი მატჩისთვის დასახელებული გუნდის ტაქტიკურ მონახაზს გადავხედავთ, იოლად შევამჩნევთ, რომ ბელგიელები ორი თავდამსხმელით — ლუკ ნილისისა და ლუის ოლივეირას დუეტით აპირებენ შეტევას. ამათ უკან ადგილს ვეტერანი გამთამაშებელი ენცო შიფო დაიკავებს. ტრავმირებულ ბოფინს კი ალბათ ნიკო ვან კერკჰოვენი შეცვლის. ბელგიელებს კიდევ ერთი დანაკლისი აქვთ. გახსოვთ, ალბათ, წინა შეხვედრაში შეცვლაზე შემოსული გერტ ვერჰეიენი მინდვრიდან გააძევეს, ამიტომ მას კორეელებთან თამაშისას იძულებითი დასვენება მოუწევს.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**ბელგია:** დე ვილდე (ან ვანდე ვალე), დეფლანდრე, სტალენსი, ვიდოვიჩი, ბორკელმანსი, ვან დერ ელსტი (ან კლემენტი), შიფო, ვილმოტსი, ვან კერკჰოვენი, ოლივეირა, ნილისი

**კორეა:** კიმ ბიონგ ჯი, ლი სანგ უნი, ჰონგ მიუნგ ბო, კიმ ტაე იანგი, იუ სენგ ჩუი, ლი მინგ სუნგი, კიმ დო ხონი, ჩოი სუნგ იონგი, ჰა სეკ ჯუ, ჩოი იონგ სო, სეო იონგ ვონი

**ირაკლი ხმელიძე**

**მატჩი №43. გერმანია — ირანი. მონპელიე. 23:00**

გერმანია ირანს მოუგებს. მოუგებს იმიტომ, რომ სჯობია და იმიტომაც, რომ როდესაც იცის, ესა თუ ის თამაში აუცილებლად უნდა მოიგოს, მიზანს აღწევს. კიდევ ერთი რამ გახლავთ გასათვალისწინებელი, ირანს თავისი უმთავრესი ამოცანა უკვე ამოხსნილი აქვს, მან ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს აჯობა, ხოლო იქით, ელიტაში არაფერი რომ ესაქმება, თავადვე კარგად მოეხსენება. გერმანიას კი, ცხადია, ოქროს თასამდე ეშიება და თუ იგი ხელთ ვერ იგდო, კიდევ ოთხი წლით დარჩება მშიერი. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ირანელებს ემოციური პიკი უკვე გადავლილი აქვთ, ხოლო გერმანელებს იქამდე ძალიან ბევრი აკლიათ.

ირანმა პარველ შეხვედრაში ვაჟკაცური წინააღმდეგობა გაუწია იუგოსლავიელებს, მაგრამ მაინც წააგო 0:1, მეორეში კი, როგორც ვთქვით, აშშ-ს სძლია 2:1.

გერმანიამ, თავის მხრივ, ჯერ აშშ-ს აჯობა 2:0, ხოლო მერე იუგოსლავიის გუნდთან 0:2 გამოასწორა და შეხვედრა 2:2 დაასრულა.

დღეს, მონპელიეში, ბერტი ფოგტსი ალაბთ ცოტა სახეშეცვლილ შემადგენლობას გამოიყვანს მოედანზე. მოსალოდნელია, რომ დიტმარ ჰამანი და იენს იერემისი სკამზე დასხდებიან, მათ მაგივრად კი ოლაფ ტონი და თომას ჰელმერი ითამაშებენ.

გერმანელები 1954, 1974 და 1990 წლებში მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ, ხოლო პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ, 1938 წელს ჩარჩნენ. სხვათა შორის, პირველობა მაშინაც საფრანგეთში ჩატარდა.

დღევანდელ დუელში კიდევ ერთი რამ არის საინტერესო, კერძოდ, გერმანულ ბუნდესლიგაში მოღვაწე ირანელი ფეხბურთელების თამაში იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისაც მთელი სეზონის განმავლობაში ყოველდღე ეპაექრებიან. ირანელთაგან გერმანიაში მოთამაშე სამია, „კიოლნის" ხოდადად აზიზი, „არმინიას" ქარიმ ბაგერი და ალი დაეი. გერმანელებს მათ თანაკლუბელთაგან საფრანგეთში არავინ ჰყავთ წაყვანილი.

აზიზი ამბობს: „თუ ჩვენ მეორე ეტაპზე გასვლა გვინდა, გერმანელები უნდა დავამარცხოთ, შეუძლებელი კი ამქვეყნად არაფერია."

ბევრის აზრით, ირანმა ამერიკელებთან გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე იუგოსლავიასთან, პირველ შეხვედრაში და თუ ასეთი აღმავალი გრაფიკით განაგრძო, დღეს გერმანიასთან კიდევ უფრო დახვეწილ და მებრძოლ გუნდად უნდა წარმოჩნდეს. ჩვენ, როგორც ამ წერილის პირველსავე აბზაცში აღვნიშნეთ, სხვა შეხედულება გვაქვს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამ ქვეყნად სხვადასხვა აზრს თანაარსებობის სრული უფლება აქვს, ხოლო რომელია მართალი, დღეს საღამოს გამოჩნდება.

ირანმა რომ მეორე შეხვედრა უკეთ ჩაატარა, ვიდრე პირველი, მეტოქეზეც იყო დამოკიდებული. აშშ იუგოსლავია არ არის, გაცილებით შეზღუდული გუნდია და ამიტომ ვფიქრობთ, რომ თეორია ირანელთა აღმავალი გრაფიკის შესახებ ჯერ კიდევ შემოწმებას მოითხოვს.

ერთი რამ კი ფაქტია, სპარსელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. დიდი-დიდი, წააგონ და თუნდაც ასე მოხდეს, შინ დაბრუნებულთ აუგს არავინ ეტყვის. მთავარი ხომ შეძლეს, მათი მთავრობის უბოროტესი მტერი, ამერიკა დაამარცხეს.

# ფოგტსმა ცეცხლები ჰყარა



სარბიელის არქივიდან

ფოგტსს ისევ ძველი გვარდიის, მათეუსის და კლინსმანის იმედი აქვს

გერმანელებზე უკვე მრავალჯერ ითქვა, რომ ხანდაზმულ ფეხბურთელთა გუნდია. აი, დღესაც, სავარაუდო შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მხოლოდ სამ მოთამაშეს არ შესრულებია ჯერ 30 წელი. ესენი გახლავან მიხაელ ტარნატი, იორგ ჰაინრიხი და კრისტიან ვიორნსი.

როგორც ირკვევა, ფოგტსი თვლის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა იმედები მთლად ვერ გაუმართლეს, კერძოდ, იუგოსლავიელებთან შეხვედრაში.

„იძულებული გავხდი, იუგოსლავიელებთან თამაშის დროს რალაცეები შემეცვალა, რადგან ზოგიერთი მოთამაშე ცუდად მოქმედებდა. ვიცი, რომ რამდენიმეს ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს და ისიც ვიცი, ვის უნდა ვენდო. ირანელებთან თამაშში ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა საქმისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას" — თქვა გერმანელთა ბუნდესმწვრთნელმა.

ფოგტსი გაღიზიანებული ყოფილა. ამის მიზეზი კი, გარდა იუგოსლავიელებთან, მისი აზრით, ცუდად ჩატარებული შეხვედრისა, თურმე გერმანელ ხულიგანთა ქცევაცაა.

მოგეხსენებათ, ორიოდ დღის წინ მათმა ფანებმა თავი გაუტეხეს ფრანგ პოლიციელს და ქუჩაში ბედის ანაბარა, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ დატოვეს.

ერთიხანობა გერმანელთა ნაკრების ჩემპიონატიდან გაძევებაზეც კი ლაპარაკობდნენ. იქნებ ვთქვათ, თუ ვილაც ხულიგანია, გუნდმა რა დააშავაო. ზუსტად ის, რაც 1985 წელს „ეიზელზე" დააშავა „ლივერპულმა" და თან არა მხოლოდ მან, არამედ ინგლისის ყველა კლუბმა — არაფერი. ხულიგნებმა იხულიგნეს, გუნდები კი დაისაჯნენ.

საბედნიეროდ, გერმანელთა ჩემპიონატიდან მოკვეთის იდეა უარყვეს, ხოლო გაბრაზებულმა ფოგტსმა ფეხბურთელებს თამაშის გაუმჯობესება მოსთხოვა, გერმანელებმა საფრანგეთში კარგი შთაბეჭდილებაც ხომ უნდა დავტოვოთო.

„გუნდის შეკრებაზე პირდაპირ ლურსმანი ჩაგვარტყა თავში (მათი გამოთქმაა და ყველაზე მტკივნეულ საკითხზე მკაცრად და დაუფარავად საუბარს ნიშნავს). იუგოსლავიასთან მართლაც საძაგლად ვითამაშეთ, მაგრამ რა ვქნათ, დროს უკან ხომ ვერ დავაბრუნებთ" — ხელები გაშალა ნახევარმცველმა ანდრეას მიოლერმა.

დღეს ისევ მოედანზე ვიხილავთ ლოთარ მათეუსს, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ნათამაშევ შეხვედრათა რეკორდი 23-მდე გაიზრდება. იუგოსლავიასთან მათეუსი შემცვლელად შევიდა, ირანთან ალბათ თავიდანვე ითამაშებს. ის ლიბერო იქნება.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია:** კიოპკე, მათეუსი, კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, ტონი, მიოლერი, ჰელმერი, ტარნატი, კლინსმანი, ბირჰოფი

**ირანი:** აბედზადეჰი, ხაკპური, ფაშაზადე, ზარინშეჰი, მაჰდავიკია, ბაგერი, ესტილი, მოჰამადხანი, მინავანდი, დაეი, აზიზი

**ბაბუნა ძედია**

# გაიტანს გერმანია, გავიტანთ ჩვენც...

**მატჩი №44. აშშ — იუგოსლავია. ნანტი. 23:00**

ნათქვამია, მსოფლიოს ჩემპიონატზე რიგითი თამაშები არ არისო და ეს, ალბათ, ასეცაა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად დღევანდელ შეხვედრას უმაღლესი დონის მატჩად მაინც ვერ მოვიხსენიებთ. ამის ახსნა მეტად იოლია. ამერიკის ნაკრებმა ხომ ჯგუფური ტურნირის პირველი ორი შეხვედრის შემდეგ მერვედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ახლა მათ მხოლოდ საკუთარი ღირსების დასაცავად თუ მოუწევთ გარჯა. ამიტომ, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ იუგოსლავია — აშშ-ის თამაში გაცილებით ნაკლებად დაძაბული იქნება, ვიდრე გერმანელებსა და ირანელებს შორის შეტაკება. აზიელები ახლა სულიერ და, თუ გნებავთ, ფიზიკურ აღმავლობასაც განიცდიან. მათ ხომ წინა მატჩში თვით ამერიკის ნაკრები დააჩოქეს. ეს კი ირანისთვის გაცილებით ბევრს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ, რიგითი თამაშის მოგება. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკელებისგან განსხვავებით აზიელებს სამი ქულა აქვთ და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი სულაც არ დაუკარგავთ.

იუგოსლავიელებზე კი რა შეიძლება ითქვას? ეს ნაკრები ყოველთვის ძლიერი იყო და მასთან გამარჯვების მოპოვება მსოფლიოს არც ერთი გუნდისთვის არ გახლდათ იოლი საქმე. იუგებმა საფრანგეთშიც დაამტკიცეს, რომ გადატანილი ომებისა და ათასგვარი უბედურებების მიუხედავად ძველებურად უძლიერესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები ჰყავთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა ძალუძთ. ჯგუფში პირველი შეხვედრა მათ ირანელებთან გამართეს და თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგეს. აი, მეორე მატჩმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ კი ნათლად დაგვანახა, თუ რისი უნარი შესწევთ იუგოსლავიელებს. ვეტერანები — დრაგან სტოიკოვიჩი და პრედრაგ მიატოვიჩი ახალბედა პერიცა ოგნიენოვიჩთან ერთად იმდენად მწვავედ მოქმედებდნენ, რომ ერთი ხანობა გერმანელები შედრკნენ. გუნდი ჩიხში მოექცა და რომ არა მისი საქვეყნოდ ცნობილი ნებისყოფა, იმ თამაშს, ალბათ, ვერც გადაარჩენდა. ყოველივე ამით კიდევ ერთხელ შეგახსენეთ იუგოსლავიის ნაკრების რეალური პოტენციალი, რომელიც ჩვენი აზრით, სრულებითაც არ ამოწურულა. ჯერ ხომ მხოლოდ ჯგუფური ტურნირის მატჩები მიმდინარეობს და გუნდები ნელ-ნელა იკრებენ ძალებს. საბოლოო პიკის მიღწევას კი ისინი სადღაც მეოთხედფინალური ბრძოლებისთვის გეგმავენ.



სარბიელის არქივიდან

სლობოდან სანტრაჩის მზაკვრულ ტაქტიკას კიდევ ბევრი ემსხვერპლება

ასე რომ, იუგოსლავიას სავსებით ხელეწიფება ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავოს, რაც მერვედფინალში E ჯგუფის გამარჯვებულთან (სავარაუდოდ, ჰოლანდიასთან) შეტაკების თავიდან აცილების საშუალებას მისცემს. სადღეისოდ იუგებს ოთხი ქულა აქვთ და ამდენივე ქულით პირველ ადგილზე მყოფ გერმანიას მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უშვებენ წინ. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ამ საღამოს შეხვედრების შემდეგ ჯგუფში ვითარება შეიცვალოს:

— გულახდილად რომ ვთქვა, არა გვგონია, გერმანიამ ირანელებთან შეხვედრისას იმაზე მეტი გოლის გატანა მოახერხოს, რამდენსაც ჩვენ ამერიკას შევუგდებთ. ბოლოს და ბოლოს, ამერიკის გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის არანაირი შანსი არ დარჩა, სამი ქულის მოპოვებით გადიდგულებული აზიელები კი დიდ პრობლემებს შეუქმნიან გერმანიას. მათ ხომ ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში თამაშის რეალური შესაძლებლობა მიეცათ — აცხადებს იუგოსლავიელთა ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი სლავიშა იოკანოვიჩი.

თუმცა იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სლობოდან სანტრაჩი ემოციებს ნაკლებად ავლენს და თავისი გუნდის ფეხბურთელებისგან განსხვავებით თვლის, რომ ამერიკელებთან შეხვედრაში ზედმეტი თავდაჯერება შეიძლება ძვირადაც დაუჯდეთ.

— ასე ხელაღებით იმის თქმა, აშშ-ის ნაკრებს დიდი ანგარიშით დავამარცხებთო, გაუმართლებლად მიმაჩნია. ამერიკელები ხომ დიდი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან და მატჩის ბოლო წუთამდე თავდადებით ირჯებიან. მათთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება უკვე დაკარგეს თუ არა, ისინი ამერიკულ პრინციპებს არ ღალატობენ და ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან. ამიტომ დღეს თამაშის დიდი სხვაობით მოგებაზე ფიქრი ზედმეტია. მე 1:0 გამარჯვებაზეც თანახმა ვარ — ასეთია იუგოსლავიელთა თავკაცის მოსაზრება.

სანამ იუგოსლავიელები დღევანდელი თამაშის უეჭველად მოგებაზე ფიქრობენ, ამერიკელთა ბანაკში დიდი არეულობაა. წარუმატებლად ჩატარებული სასტარტო მატჩების შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელს სტივ სიმპსონს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები შემოსწყრნენ და აგრძნობინეს, რომ მას ამ თანამდებობაზე დიდი ხნით აღარ გააჩერებენ. ისკი არა, მწვრთნელს, ადვილი შესაძლებელია, არც დღევანდელ თამაშში გამარჯვებამ უშველოს, რადგან ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ამერიკული ფეხბურთის მამები აცხადებდნენ, რომ ახალი თავკაცის მოწვევა სურთ, რომელიც, სავარაუდოდ, ბებერი კონტინენტის ერთ-ერთი მძლავრი საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენელი იქნება და ოცდამეერთე საუკუნეში აშშ-ის ნაკრებთან ერთად შეაბიჯებს.

დღევანდელი მატჩის წინ იუგოსლავიის ნაკრები თავდამსხმელ დარკო კოვაჩევიჩს მოისაკლისებს, რომელიც წინა შეხვედრაში მიღებული თეძოს ტრავმის შემდეგ ვერ მომჯობინდა და იძულებითი დასვენება მოუწევს. სამაგიეროდ, მწყობრშია მცველი ზორან მირკოვიჩი, რომელმაც გერმანელებთან შეხვედრა გამოტოვა. რაც შეეხება ამ შეხვედრაში გუნდის განლაგების ტაქტიკურ მონახაზს, აქ დიდი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. თავდასხმაში სანტრაჩი პერიცა ოგნიენოვიჩისა და სავო მილოშევიჩის დუეტს განამწესებს, ხოლო მათ უკან გამთამაშებელი პრედრაგ მიატოვიჩი ითამაშებს. გერმანელებთან მატჩის დროს არცთუ საიმედოდ გარჯილ სლობოდან კომლენოვიჩს დღეს, ალბათ, ზემოთ ნახსენები მირკოვიჩი შეცვლის.

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობები**

**აშშ:** კელერი, რეჯისი, დული, პოუპი, მური, ჰეიდუკი, რამოსი, რეინა, ჯოუნსი, ვეგერლე, მაკბრაიდი

**იუგოსლავია:** კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, მიხაილოვიჩი, პეტროვიჩი, სტანკოვიჩი, სტოიკოვიჩი, იუგოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი

**ირაკლი ხმელიძე**



ჩემპიონატის დღიური
23 ივნისი
ლაშა გოგიძე
FRANCE 98

# ეჭვი არასდროს კვდება



წამიც და ავსტრიელი ანდრეას ჰერცოგი იტალიელთა კარში სადავო პენალტს გიტანს

### მესაფლავე ბაარმასტი

ნორვეგია მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა, პირველად ისტორიაში. ბრაზილიასთან ბოლოსწინა წუთზე ზუსტად გამოიყენა რეკდალმა პენალტი და გუნდმაც მიზანს მიაღწია.

იყო კი პენალტი სამართლიანი?

ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს ბრაზილიის ქომაგებს, თავად ნორვეგიელებიც გამარჯვებას ეჭვის თვალით უყურებენ, მაროკოელებს ხომ საერთოდ ნუღარ იკითხავთ. დაეჭვებულან ქომაგები, ფეხბურთის სპეციალისტები... მხოლოდ ამერიკელი მსაჯი ბაარმასტია ღრმად დარწმუნებული, რომ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა კლაუდიო ტაფარელის კარში სავსებით სამართლიანად დაინიშნა.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის მომენტი — ნორვეგიელთა ჩაწოდებული პასისთვის ტორე ანდრე ფლო და ჟუნიორ ბაიანო იბრძვიან. ბრაზილიელი ბურთს კი იგერიებს, მაგრამ იმ მომენტში სკანდინაველი თავდამსხმელი იქცევა და პენალტიც ინიშნება. ძალიან გაბედული ნაბიჯია მსაჯის მხრიდან. ბოლო წუთებზე, თან ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში, მეტად საჭოჭმანო სიტუაციაში პენალტი დადო ბრაზილიის წინაალმდეგ, ეს ლამის გმირობაა.

ზოგი ამბობს, მსაჯი შეცდაო, ზოგი — სავსებით სამართლიანად მოიქცაო. მოდი და არკვიე სხვების გადამკიდემ მსაჯი როგორ მოიქცა. ამის თაობაზე ყველას თავის აზრი გააჩნია, ცხადია, მეც.

ვფიქრობ, პენალტი უსამართლოდ დაინიშნა. ტორე ანდრე ფლო წაიქცა, მაგრამ სინამდვილეში ბრაზილიელ მცველს არ უუხეშია — როდესაც იგი ბურთის





საეჭვო პენალტი — ტაფარელმა რეკდალის დარტყმული ბურთი ვერ მოიგერია, ბრაზილიამ წააგო, ნორვეგია კი მერვედფინალში გავიდა

მოსაგერიებლად ახტა, ჰაერში მყოფმა უნებურად მუხლი ტორე ანდრეს ფერდში მოარტყა, უფრო სწორად მოუხვდა. ნორვეგიელიც წაიქცა, თან საკმაოდ გამომწვევად. მსაჯი, როგორც ჩანს, ანკესზე წამოეგო. მის ადგილას ბევრი დაიბნეოდა — ბოლო წუთებია, ნორვეგია ჯგუფიდან გასასვლელად იბრძვის, ამ დროს კი ერთ-ერთ ვიკინგს საჯარიმოში აქცევენ. ამერიკელმა არბიტრმა არ გარისკა, რაც იფიქრა, იმის შესაბამისად მოიქცა.

რეკდალის გოლმა ნორვეგია მერვედფინალისტად აქცია. სკანდინაველები ახლა „სკუადრა ატურას" შეხვდებიან, თუმცა ეს ორი დღეა, ეგილ ოლსენის გუნდი შემდეგ თამაშზე კი არ ფიქრობს, ბრაზილიელთა დამარცხებით ხარობს.

— ჩემი აზრით, პენალტი იყო. თან საკმაოდ აშკარა. მსაჯი სწორად მოიქცა, მისი თამამი და სამართლიანი გადაწყვეტილების წყალობით კი ნორვეგიამ იხეირა. წესით და რიგით ასეც უნდა მომხდარიყო — ძნელია, გამარჯვებულს ობიექტურობა მოსთხოვო. რაღა გასაკვირია, რომ ტორე ანდრე ფლოს პენალტი სამართლიანად მიაჩნდა.

— ცხადია, პენალტი იყო. ამას თქმა არ უნდა. ბაიანო თავდამსხმელს საჯარიმოში ეუხეშა, ეს კი ჯარიმას მოასწავებდა. ბაარმასტმა თამამი გადაწყვეტილება მიიღო. პენალტი უნდა დანიშნულიყო და ასეც მოხდა. სხვისი არ ვიცი და მე კი მიმაჩნია, რომ წესების დარღვევა იყო — დაზარალებული ტორე ანდრე ფლოს ძმა იოსტეინიც პენალტს სამართლიანად მიიჩნევდა.

— საერთოდ მსაჯებზე საუბარს ვერიდები. ვცდილობ, რაც მოხდა, გონებაში გავიაზრო და ამა თუ იმ ფეხბურთელის თუ მსაჯის მოქმედება გულში ავწონ-დავწონო. ვგონებ, ასე ჯობს. რაც შეეხება პენალტს, უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ გოლმა და შესაბამისად მერვედფინალში გასვლამ ძალიან გამახარა. სამართლიანი იყო თუ არა პენალტი, ვერ გეტყვით — იმ მომენტში, როცა ბაიანო ტორე ანდრეს ეპაექრებოდა, ერთ-ერთი თანაშემწე ჩამომეფარა. მომენტი არ დამინახავს, ამიტომ ვერაფერს გეტყვით — ნორვეგიელთა მწვრთნელ ოლსენს ეგებ არც ჩამოეფარა თანაშემწე, მაგრამ მან მაინც გაჩუმება ამჯობინა. სხვათა შორის, იგი ერთადერთი კაცია, რომლის გუნდმაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ორჯერ მოახერხა ბრაზილიელთა დამარცხება.

გოლი არა, მაგრამ პენალტი კი ნამდვილად საეჭვო იყო. შეხვედრა ფრედ რომ დასრულებულიყო, საკმაოდ სიმპათიური მაროკოს გუნდი, იმ წუთებში შოტლანდიელთა ძლევით რომ იყო გართული, მერვედფინალში გავიდოდა. ანრი მიშელის ბიჭებს ბრწყინვალედ მოგებული მატჩი ჩაუშხამდათ — როგორია 3:0 იგებდე, ბოლო წუთამდე მერვედფინალში იყო, ბოლოს კი შეგატყობინონ, იქ, მეორე ქალაქში უშუალო კონკურენტმა იმარჯვა, თანაც ბრაზილიასთან, ასე რომ, შინ გამგზავრება მოგიწევსო.

„ამერიკელი ნორვეგიას ასაჩუქრებს, ჩვენ კი..." — მაროკოს ყველაზე პოპულარულ გაზეთ „სირჯია ტეშიმ" ბაარმასტს თავს ლეჩაქი დაახურა. ჟურნალისტები თვიანთი ნაკრებს ხოტბას კი ასხამდნენ, მაგრამ შიგა და შიგ არც მსაჯის მოქმედების გაქილიკება ავიწყდებოდათ.

„მოგონილი პენალტით დაგვლუპეს. მესაფლავე ბაარმასტმა ფეხბურთი დამარხა" — მაროკოს კიდევ ერთი გაზეთი დამნაშავედ მხოლოდ ბაარმასტს მიიჩნევდა. როგორც ჩანს, მაროკოშიც იგივე დაინახეს, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. გადაჭრით ძნელია პენალტის სამართლიანობაზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მომენტის მნახველ გულშემატკივართა უმეტესობა თვლის, რომ მსაჯი უსამართლოდ მოიქცა.

მაროკო მაროკოდ, მაგრამ ისიც საინტერესოა როგორ შეხვდნენ ბრაზილიელები ნაკრების მარცხს. იმ ღამით, რიო დე ჟანეიროს ქუჩებში რომ გაგევლოთ, იფიქრებდით, ხალხი ხელისუფლების დასამხობად იბრძვისო — ათეულობით ცეცხლმოკიდებული მანქანა, პოლიციელებთან შეხლა-შემოხლა, ერთი სიტყვით, სრული ანარქია, დიდი არეულობა. ქუჩებს, ცხადია, გაავებული გულშემატკივრები მოსდებოდნენ, მეორე დილით კი უკლებლივ ყველა გაზეთი თუ საფეხბურთო გამოცემა ზაგალოს აკრიტიკებდა, ფეხბურთელებს ხომ თავს ლაფი დაასხეს. რაც შეეხება პენალტს, მასზე ბრაზილიელ ჟურნალისტებს ისეთი ყურადღება ნამდვილად არ გაუმახვილებიათ, როგორც ეს მაროკოში მოხდა. უბრალოდ, იმას ამბობდნენ, რომ თუ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძვის, ამაზრზენ თამაშს არ უნდა ანახებდეს, მით უმეტეს, მარცხისგან თავის დასაღწევად ბრძოლა არ უნდა უწევდეს.

— პენალტი არ იყო, მსაჯი შეცდა. მე უბრალოდ ავხტი. მეტოქეს არც შევხებივარ, მან კი პენალტი დანიშნა. თავზარი დამეცა, არ მეგონა, არბიტრი თუ გაგვწირავდა. ასეთი სიტუაციები ბევრია ფეხბურთში, თუ ყველა მათგანზე პენალტები დაინიშნა მაშინ თავდამსხმელები რაღა საჭირო ყოფილან — ჟუნიორ ბაიანო ამერიკელი მსაჯის საქციელით აღშფოთებული გახლდათ.

— ბაარმასტის დონის მსაჯები მსოფლიოს ჩემპიონატს არ უნდა ემსახურებოდნენ. მათი წყალობით ფეხბურთს ხიბლი ეკარგება, ეს კი, დამეთანხმებით, არ არის კარგი, მეტიც, ძალიან ცუდია. ნორვეგიელებს მოგონილი პენალტი რომ არ გაეტანათ, მერვედფინალში ისინი კი არა, მაროკო ითამაშებდა — არც მარიო ლობო ზაგალო გახლდათ გულდამშვიდებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბაარმარტის საქციელმა ძალიან ბევრი აღაშფოთა, ხოლო უკლებლივ ყველა ნორვეგიელი უზომოდ გაახარა. იმ ღამით მთელი ნორვეგია ხარობდა — ხუმრობა ხომ არაა, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა!

... ისევ საეჭვო გოლი. კვლავ წამოტივტივდა ეს თემა. ჯერ არ ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონატი, ერთი ან მეტი ასეთი ბურთი არ გასულიყო. არა, რეკდალის საგოლე დარტყმაში კაცი ეჭვს როგორ შეიტანს, მაგრამ პენალტი...

### უკან, მოცარტისკენ

ავსტრიას ძალიან ეწადა მერვედფინალისტებს შეერთებოდა. გუნდი საამისოდ იბრძოდა, თუმცა რაც იცოდა, ეგ იყო და ეგ. კამერუნთან და ჩილესთან ნათამაშევი ფრეები ჰერბერტ პროხასკას გუნდის მაქსიმუმი გამოდგა. მეტის თავი ავსტრიელებს უბრალოდ არ ჰქონდათ.

სამშაბათი თითქოს საეჭვო გოლების, უფრო სწორად, პენალტების დღე იყო — ნორვეგიელების სიხარულზე ზემოთ მოგახსენეთ, ახლა კი პალიუკას კარში გასულ პენალტზე ვთქვათ.

ისევე როგორც ნორვეგია — ბრაზილიის შეხვედრაში, იტალია — ავსტრიის დაპირისპირებაშიც პენალტი ბოლო წუთზე დაინიშნა — რეკდალის დარტყმულის დარად, ჰერცოგის გასროლამაც მიზანს მიაღწია. ორივე შემთხვევაში პენალტი გოლად იქცა, მაგრამ თუ ნორვეგიელებმა თერთმეტმეტრიანით მერვედფინალის საგზური მოიპოვეს, ავსტრიელებმა ვერაფერი.

და კვლავ ათასჯერ დასმული კითხვა: იყო კი პენალტი?

ისევე როგორც ბაარმასტის შემთხვევაში, იტალიელთა კარში დანიშნულ პენალტში მთავარ დამნაშავედ აპენინელი მცველები კი არა, ინგლისელი მსაჯი პოლ დარკინი მიიჩნიეს.

მართალია, გადაჭრით ძნელია თქვა, პენალტი იყოო, თუმცა არც ყველაფრისთვის ხაზის გადასმა ეგების.

— მეტოქეს არც შევხებივარ, უბრალოდ, ბურთზე ვითამაშე. სამწუხაროდ, მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, ჩვენ კი ვითომდა წესის დარღვევა გოლად დაგვიჯდა. ასე არ შეიძლება. ამ თამაშში, საბედნიეროდ, დარკინის შეცდომამ ვერაფერი შეცვალა, მაგრამ ხომ შეიძლება სხვა მატჩებში მსაჯები საბედისწეროდ შეცდნენ? მერე რა ვქნათ ფეხბურთელებმა? ერთი კაცის უყურადღებობას მთელი გუნდი არ უნდა შეეწიროს — საჯარიმოში წესის დარღვევაში მსაჯმა ალესანდრო კოსტაკურტა დაადანაშაულა, რომლის მატჩისშემდგომ აზრსაც ეს-ესაა გაეცანით.

— არ იყო პენალტი. ამაზე შემიძლია თავი დავდო. კარგად დავინახე, კოსტაკურტამ სუფთად აართვა ბურთი მეტოქეს, არბიტრმა კი პენალტით დაგვსაჯა. კიდევ კარგი, მეორე გოლის გატანა მანამდე მოვასწარით, თორემ დარკინის ამ შეცდომას შეიძლება ჩვენთვის ტრაგიკული შედეგები მოჰყოლოდა — „სკუადრა ატურას" შვიდ ათეულ წელს მიტანებული მწვრთნელი ჩეზარე მალდინი ემოციებს ვერ მალავდა.

კიდევ ერთი შემთხვევა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი უხეში შეცდომებისგან დაზღვეული არ არის, არ ყოფილა და არც არასდროს იქნება.

საოცარია არა? თითქმის ერთნაირი შემთხვევები — ორი ძალიან საეჭვო პენალტი და ორი გოლი. შედეგად კი — მაროკოში ტრაგედია, ნორვეგიაში სიხარული, ავსტრიაში კი არც არაფერი შეცვლილა — ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სამშობლოში კარგად უწყოდნენ, რომ მათი ნაკრები ჯგუფურ ბარიერს ვერ გადალახავდა. ასეც მოხდა.

### სხვაც ბევრი იყო

იდუმალებით მოცული ამქვეყნად ბევრი რამაა, თუმცა ფეხბურთის მატჩებში მომხდარ საჭოჭმანო სიტუაციებს იდუმალებით მოცულს ვერ დაარქმევ. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას ახსოვს გოლები, რომელთა კანონიერებაზეც დღემდე დავობენ.

თუ საუბარი საეჭვო გოლებს შეეხება, შეუძლებელია, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი არ გავვახსენდეს. ინგლისი — გფრ-ის მატჩში ფეხბურთის არსებობის ისტორიაში ერთ ერთი ყველაზე სკანდალური გოლი გავიდა — დამატებით დროში ჰერსტის დარტყმა ხარიხას მოხვდა და... დღემდე ვერ გარკვეულა, კარში დაეცა, თუ კარის ხაზს გარეთ. გვერდითმა მსაჯმა ტოფიკ ბახრამოვმა გოლი ჩათვალა.

... 1978 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში ბრაზილია შვედეთს ხვდებოდა. საბოლოოდ მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა შეხვედრის დაბოლოება სკანდალური გახლდათ — უელსელმა მსაჯმა ტომასმა ბოლო წამებზე ზიკოს თავურით გატანილი გოლი არ ჩათვალა.

ბრაზილიელებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს, ნელინიო ჩაწოდებას აჭიანურებდა — ბურთს ისწორებდა. მსაჯი მიუთითებდა, დრო იწურებაო, ბრაზილიელი კი მაინც არ ჩქარობდა. საბოლოოდ ბურთი ჯერ ჰაერში იყო, ტომასმა თამაში რომ დაასრულა — ზიკომ თავური დარტყმით კი დააწინაურა თავისიანები, მაგრამ გოლი გაუქმდა. მსაჯთან კამათი დიხანს გრძელდებოდა.

რვა წლის შემდეგ, მექსიკაში, დიეგო მარადონამ ინგლისელებს გოლი „ღმერთის ხელით" გაუტანა. ერთ-ერთ მომენტში მარადონამ წინგასულ შილტონს დაასწრო და ბურთი შეაგდო. მოგვიანებით მთელი ინგლისი ამტკიცებდა, დიეგომ ბურთი ხელით გაიტანაო. „მე გოლი თავით გავიტანე, მაგრამ თუ თქვენ ხელი დაინახეთ, ესე იგი საქმეში ღმერთის ხელი ჩარეულა" — განუცხადა დიეგომ მოწინააღმდეგეებს.

ისე, დიეგოს ეს გოლი მართლაც იდუმალებითაა მოცული — რამდენიმე მხრიდან ნათლად ჩანს, რომ გოლი წესების სრული დაცვით გადის, რამდენიმედან კი ბურთზე ხელით თამაში შეინიშნება. ჭეშმარიტება დღემდე ვერ დადგინდა — გოლი კი ჩაითვალა, თუმც ეჭვები კვლავ დარჩა.

... 1990 წელს იტალიაში კი ფინალური მატჩის ბოლო წუთზე საეჭვო პენალტი დაინიშნა არგენტინელთა კარში — ფიოლერის წაქცევისთვის (თუ უხეშობა საერთოდ იყო) დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა ანდრეას ბრემემ გოლად აქცია. გერმანია ჩემპიონი გახდა.

ზემოთ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გატანილი მეტ-ნაკლებად საეჭვო გოლები გავიხსენეთ, ისე კი, ყოველდღიურად, ვინ იცის, რამდენი საჭოჭმანო გოლი გადის...



სარბიელის არქივიდან

1978 წელი. ბრაზილია — შვედეთი. უელსელმა მსაჯმა ტომასმა ესესა მატჩი დასრულა და ზიკოს გოლი გააუქმა. მასთან კამათს შედეგი არ მოჰყოლია



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# ქარი ნორდ-ვესტი

ჩრდილოეთიდან მოჰქროლავს ეს ქარი. უფრო კი ჩრდილო-დასავლეთიდან. ნორდ-ვესტი ჰქვია.

უცნაური ქარია, ხან ქარბუქსა ჰგავს, ხანაც ნიავს. როცა ნიავს ჰგავს, არავის ეშინია ამ ქარისა. ამბობენ, ისეთი სუსტი და უღონოა, კაცს შუბლსაც ვერ გაუგრილებსო. თუ ქარბუქივით მოვიდა, ყველა სახლში ჩაიკეტება — ე მაგის გამძლები არ ვართო. თავად ნორდ-ვესტს კი უკვირს, ჩვეულებრივი ქარი ვარ, როგორც სხვა ათას ქარს, ქროლვა მეხერხება, ეგ არის, რომ ბოლოხანს ზნე გამოვიცვალე და ამიტომაც მიფრთხიანო.

ჩრდილო-დასავლეთიდან მოჰქროლავს ეს ქარი, შემპარავი, იოლი და საშიში. არც ერთ სხვა ქარს არ შეუძლია იყოს ამგვარად მოულოდნელი. მას არ უყვარს სახურავების მოხდა და გატაცება, მაგრამ ძვალსა და რბილში ატანს და სხვა ქარს შეეჯახება რაღაც უცნაურ, ამოუხსნელ ძალას გამოძებნის თავის თავში და შემხვედრ ქარს ისე შეისრუტავს, თითქოს ეს უკანასკნელი არც კი ყოფილაო. შორიდან მოჰქროლავს, ცივი ადგილებიდან და ნელ-ნელა ეპარება სამხრეთის ქალაქებს. იქაურ სიცხეს მოულოდნელად დააცხრობს ხოლმე, იქაურ ხმაურს და ალტკინებას სასაფლაოს დუმილად აქცევს.

თითქოს ისე, როგორც ძველი დროის ქლალთმიანი ვიკინგი, დაუვიწყარი ერიკი და მისი რაზმი, მოადგება ეს ალისფერი ქარი სრულიად უცნობ ადგილებს და იპყრობს მათ. დაპყრობილი ადგილების მკვიდრნი განსჯას მიეცემიან ხოლმე. ეგ როგორ მოხდაო, ნიავს რომ ჰგავდა და ქარბუქი რომ გამოდგაო. ნაცნობი ქარიაო, წესით არავისთვის საშიში არ უნდა იყოსო, მაგრამ ეს როგორ გამოვიდა, რომ აქეთ-იქეთ გვაბურთავაო.

სულ მალე ამ უცნაურმა ნორდ-ვესტმა ჩვენს ქვეყანასაც უნდა გადაუქროლოს. აქაც უნდა მოსინჯოს ძალები და ჩვენც ხომ მზად უნდა დავუხვდეთ?

...ღამით, თამაში რომ იწყებოდა, ძმაკაცმა დამირეკა — არგენტინელთა გამარჯვების დიდად მოიმედე. უკვე ბრაზილიისა და ნორვეგიის ჰიმნებს უკრავდნენ, ის კი მეუბნებოდა, ფანურ ამბავში მძიმე საღამო მაქვს — ბრაზილიას „ვბალეშჩიკობ“. არ უყვარს ბრაზილია. არგენტინა უყვარს. მაგრამ მიზეზი ჰქონდა: ბრაზილიელების მოგება იმიტომ მინდა, რომ ამ საღამოს ნორვეგია თუ იმარჯვებს, საქართველოს ნაკრებზე ეს ძლიერ იმოქმედებს ევროპის შესარჩევ ტურნირშიო.

იყო პენალტი? არ იყო პენალტი? ალბათ, მილიონობით გულშემატკივარი არც კი ჩასტვენდა ამ პენალტს, მაგრამ იმ ამერიკელმა რეფერიმ კი ჩასტვინა და რეკდალმაც გაიტანა. ნორვეგიამ ბრაზილიას მოუგო 2:1. უკვე მეორედ მოუგო ბოლო წელიწადში. ამისგან დიდი დასკვნების გამოტანა და მსჯელობა ნორვეგიელთა სიდიადეზე უადგილოც არის და ღიმილისმომგვრელიც, მაგრამ ამ გამარჯვებით ეგილ ოლსენის გუნდმა კვლავ გამოაცოცხლა საიდუმლო.

საიდუმლო ნორვეგიელთა გამარჯვებისა.

ფეხბურთის ნებისმიერ სპეციალისტს ძალუძს ნორვეგიელთა თამაშის დეტალური გარჩევა. იქ რაიმე განსაკუთრებულს ვერ იპოვით. საიდუმლო სხვაგან არის დაფლული. როგორ იგებს ნორვეგია? ან როგორ არ აგებს ნორვეგია? როგორ არის, რომ ურთულეს წუთეში ეგილ ოლსენის ხალხი ახერხებს იმას, რომ თამაშის ბედი უკუღმა დაატრიალოს? ჩვენ ვიცით, როგორ ახერხებს ამას გერმანიის ნაკრები. მაგრამ ისიც ვიცით, რომ გერმანიის ნაკრებს ასეთი რამის მოხერხება ძალზე იშვიათად უწევს ხოლმე. აი, ნორვეგია, კი– საიდუმლოც აქ არის დაფლული.

ვერ გაიგებ, რატომ უბერავს ქარი ნორდ-ვესტი.

აი, დილით სამსახურში მოვდიოდი და ერთი სახლის თაღთან სამსახურში მიმავალი ორი კაცის დიალოგს მოკვარი ყური:

— როგორ წააგეს, ტო? მეორედ წააგეს.

— არ იყო პენალი.

— ჰო მარა, მეორედ წააგეს.

რაღაც ფატალური იყო ამ ყურმოკრულ ლაპარაკში.

მე კიდევ იმის გამო ვფიქრობდი, თუ რა არის ნორვეგიელთა მთავარი იარაღი. საიდუმლოც ხომ სწორედ ეს იარაღია. იერით ნორვეგიელი ფეხბურთელები მორაგბეებს გვანან. თამაშობენ ანბანივით გასაგებ ფეხბურთს. თუ ვინმე მაჩანჩალა არ გამოიჭირეს, ნორვეგიელები არცთუ მწვავედ უტევენ. როდესაც ნორვეგიის ნაკრები ვერ თამაშობს, მისი ცოდვილობა და ზოზინი საშუალო ინგლისური კლუბის ბურთაობას მოგვაგონებს. როცა კარგად თამაშობს, ის გვახსენებს ძველი ყაიდის კარგ ინგლისურ კლუბებს. ასე რომ, არაფერი გასაოცარი ამ მხრივ არ შეინიშნება. გაოცებას უფრო სხვა რამ იწვევს — ნორვეგია დიახაც რომ რაც არის, ეგ არის, მაგრამ ამ გუნდის გამორჩეული თვისება სიზუსტეა. ნორვეგიელები საქმის სწორად და ზუსტად მკეთებელი ხალხია. მათი ფეხბურთის უმთავრესი თვისება სიზუსტეა. ეს



ბოროტი საერთაშორისო ხუმრობა: ვინ უფრო სასარგებლოა თავისი გუნდისთვის, „ჩელსის“ დუბლიორი ფლო თუ მსოფლიოში საუკეთესო რონალდო?

სიზუსტე მისაბაძია. ნორვეგიელებს ძალიან კარგად ესმით, რომ მათ ფეხბურთს უამრავი ნაკლი აქვს. ნორვეგიელები უამრავი რამით ჩამორჩებიან მსოფლიოს მოწინავე გუნდებს და ამ რამეების ჩამოთვლას აზრიც კი ეკარგება. მაგრამ მათი გამორჩეულობაც ის არის, რომ აქცენტი სწორედ რომ სიზუსტეზე დაუსვამთ. ეგილ ოლსენმა სწორედ მიაგნო იმას, რითაც თავისი გუნდი სხვათაგან უნდა გამოერჩია.

რა თქმა უნდა, ნორვეგიელებს არა აქვთ რაღაც ფენომენალური, განსაკუთრებული სიზუსტე. უბრალოდ ამ გუნდში აქცენტი ამ საქმეზეა გადატანილი. ისინი მუშა, დამჯერე ფეხბურთელები არიან. ისედაც ზუსტი და პირდაპირი ხალხია და ყველაფერში იმგვარად გავარჯიშებულან, რომ ეს საქმე ავტომატიზმამდე აქვთ აყვანილი. მათი ფეხბურთი ერთგვარად მათემატიკასაც კი ჰგავს, მაგრამ ასეთი მწვრთნელის ხელში ამგვარი მათემატიკა საკმაოდ საშიშიც ხდება.

ფეხბურთელები უკვე გამოცდილნიც არიან და ის, რაც იციან, ხუთიანზე ასრულებენ. ესეც ხომ სიზუსტეა. თავიანთ საუკეთესო თამაშებში ნორვეგიელებს ძალუძთ ხოლმე ამ სიზუსტით გამარჯვება. იგივე სიზუსტემ მათ თამაშის თავისებური შეგრძნებაც გამოუმუშავა.

ეს გაუტეხელი გუნდია და თუმცა ფანტაზიით ვერ დაიკვეხნის, დაიკვეხნის იმით, რაც იცის.

ნორვეგიელთა კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ მათ ფეხბურთელებს ვერ უსაყვედურებ კლასის ნაკლებობას და უსუსურობას. ის, რაც მათ თამაშში უსუსურობად მოგეჩვენება, სინამდვილეში ფანტაზიის, იმპროვიზაციის ნაკლებობაა. ისინი ბრწყინვალედ ურტყამენ საჯარიმოებს, მაგრამ ესეც ავტომატიზმამდე მისული გავარჯიშების შედეგია და სხვა არაფერი.

ნორვეგიელმა ფეხბურთელმა იცის — ამა და ამ შემთხვევაში შეიძლება ქუსლით ბურთის გადაწოდება. ის შეეცდება, შეასრულოს ეს პასი, მაგრამ არასოდეს იფიქრებს მის შესრულების სათუო სიტუაციაში.

იმპროვიზატორი და ფანტაზიორი ნორვეგიელებს ერთი ჰყავთ — ტორე ანდრე ფლო.

რაც გინდათ, ისა თქვით და იგი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. არა იმიტომ, რომ ბრაზილიელებს ლამაზი გოლი გაუტანა, არა. იმიტომ, რომ ბურთს ლურსმანივით აჭედებს ხოლმე თავით, არამედ იმიტომაც, რომ მისი აგებულების, მისი ყაიდის ფეხბურთელი საფრანგეთში აღარავის ჰყავს.

მსოფლიომ კარგახანია დაივიწყა „ტანკები“. ასე ეძახდნენ ერთ დროს ისეთ ცენტრფორვარდებს, რომლებიც ჯანით ირჯებოდნენ საჯარიმოში. „ტანკები“ ინგლისური მოვლენა იყო: 40-იან წლებში ტომი ლოუტონი, შემდეგ დერეკ კევანი (რომელსაც თბილისშიაც უთამაშია „ვესტ ბრომვიჩის“ გუნდთან ერთად) და სხვანი. „ტანკთა“ უკანასკნელი წარმომადგენელი ასევე ინგლისელი მარკ ჰეიტლი იყო, რომელსაც „მილანში“, და „რეინჯერსში“ უთამაშია. ჰეიტლი ახლაც თამაშობს ინგლისის პატარა „ჰალ სიტიში“. მაშინ, 80-იან წლებში კი მის მოედანზე გამოჩენას ერთგვარად კომიკური იერიც კი დასდევდა ხოლმე. ეს კაცი უხსოვარი დროიდან გადმოვარდნილ მოთამაშეს ჰგავდა.

და ახლა ტორე ანდრე ფლო. ნამდვილი „ტანკი“, რომელსაც უფრო „მოდერნიზებული ტანკი“ უნდა ვუწოდოთ. „ტანკის“ თვისება რა არის? ის იშვიათად იღებს ბურთს, რადგან მთავარ ამოცანად მისი ბრძოლაში დაუფლება და კარისკენ დარტყმაა. აი, ალან შირერს რომ ათიოდ სანტიმეტრით მეტი სიგრძე-სიგანე ჰქონდეს, ვიტყოდით, ნამდვილი „ტანკიაო“.

„მოდერნიზებული ტანკისთვის“ კი უცხო არ არის საჯარიმოს ახლომახლო სირბილი და ბურთის ტარება. ფლო საჯარიმოშიც იბრძვის ბურთის მოსაგებად და ფრთებიდანაც დაიძრება ხოლმე. მისი გარღვევები არცთუ დახვეწილი, მაგრამ შედეგიანია, მცველებს აშკარად უჭირთ, როცა სისწრაფეაკრეფილ „ტანკს“ ხედავენ. და ფლოსაც გააქვს...

ნორვეგიას ძველ დროშიც ჰყავდა გამორჩეული ფეხბურთელები. იგივე ჰალვარ ტორესენი, მათი ნაკრების ლამის სამუდამო კაპიტანი ოთხმოციან წლებში. მაგრამ ზუსტი და მკვეთრი, სწორედ რომ მათი ხასიათის შესაბამისი თამაშის გამართვა სწორედ ეგილ ოლსენის ხელში შეძლო.

მართალია, ოლსენი კომუნისტია, მაგრამ ცხოვრებისა და თამაშისა ბევრი გაეგება.

აბა რით არ არის უცნაური ეს ნორდ-ვესტი? ისე მოვარდება, რომ ვერც კი შეიტყობ, რა და როგორ.



# ახალგაზრდულს მწვრთნელი მოელანდა



საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახალი სეზონი წარმატებით დაიწყო. რუს თანატოლებთან გამარჯვებაში წვლილი ნაკრების ახალ ხელმძღვანელ, გიგლა იმნაძესაც მიუძღოდა და გულშემატკივართაც იმედი ჩაუსახა, რომ ვლადიმერ გუცაევის დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებდა. ცხრა ივნისს ნაკრები იტალიაში გაემგზავრა და რვა დღის განმავლობაში ოთხი საკონტროლო მატჩი გამართა. ჩვენმა ახალგაზრდებმა დაამარცხეს რიმინის სამოყვარულო გუნდი 6:0 და ოლქების ნაკრები 1:0. ორ პრინციპულ მატჩში კი მარცხი ივნიეს — რეჯანასთან 2:3 და სერია B-ს ნაკრებთან 0:1.

ჩვენი ახალგაზრდები შინ თვრამეტ ივნისს დაბრუნდნენ და, ბუნებრივია, მაშინვე მის თავკაცს დავუკავშირდით. წესით და რიგით, ეს ინტერვიუც უფრო ადრე უნდა გეხილათ, მაგრამ ბატონმა გიგლამ თავაზიანი უარით გამოგვისტუმრა, სიტუაციის გარკვევამდე ვერაფერს მოგახსენებთო. რა ჰქონდა ნაკრების თავკაცს გასარკვევი?

— ნაკრები მე წავიყვანე იტალიაში და ვიცოდი, რომ ჩემი ხელმძღვანელობით უნდა ეთამაშა. დიდი გეგმებიც მქონდა დასახული, მაგრამ იქ ჩასულს სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. აღმოჩნდა, რომ ფედერაციასთან შეთანხმებით ნაკრებს იტალიაში რობერტო ლანდი უხელმძღვანელებდა.

**— ?!**

— იგი იტალიელია. 1956 წელს გახლავთ დაბადებული. თავის დროზე მეკარე იყო. თამაშობდა იტალიის სერია B-ს გუნდებში, აგრეთვე ნიუ იორკის „კოსმოსში“, „ვანკუვერ ვაით ქეფსში“, „ჩიკაგო სტინგში“ და სამხრეთაფრიკულ „კაიზერ ჩიფსში“. მწვრთნელად 1993 წლიდან მოღვაწეობს. უმუშავია აშშ-ის ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად.

**— ნუთუ წასვლის წინ არ იცოდით ამის შესახებ და საერთოდ, საიდან გაჩნდა რობერტო ლანდის ნაკრებში მუშაობის იდეა?**

— როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს იდეა თავად რობერტო ლანდს გაჩენია. მას გამოუთქვამს სურვილი დახმარებოდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. აქ უბრალოდ, ორმხრივ თანამშრომლობაზეა საუბარი. სანაცვლოდ ლანდიმ დააფინანსა ჩვენი იტალიაში წასვლა და იქ ყოფნის ხარჯებიც მან გაიღო.

**— გამოდის, ლანდი კონსულტანტობას გიწევდათ იტალიაში ყოფნისას.**

— არა, პირიქით, ჩასვლის დღეს იგი შეხვდა ნაკრების წევრებს, მე მას გავაცანი თითოეული მოთამაშის კონდიციები და ჩემი ფუნქციაც ამით ამოიწურა. შემდეგ თვითონ ლანდი ხელმძღვანელობდა ნაკრებს. მას ორი იტალიელი კოლეგაც ეხმარებოდა. შემადგენლობას და ტაქტიკურ მონახაზსაც ისინი ირჩევდნენ. მე, შეიძლება ითქვას, რიგითი მაყურებლის როლში ვიყავი.

**— ცოტა უხერხულ სიტუაციაში ხომ არ აღმოჩნდით?**

— გეთანხმებით. სწორედ ამ საკითხის გარკვევა მინდოდა ფეხბურთის ფედერაციაში. მაინტერესებდა, შემდგომში რა ფორმით გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა იტალიელ პარტნიორთან.

**— თუ გაარკვიეთ რამე?**

— პრინციპში გადაწყვეტილი არაფერია. ჩვენი ურთიერთობა, ალბათ, კიდევ გაგრძელდება. ან მე ვიქნები კონსულტანტი, ან რობერტო ლანდი. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს (? — პ.კ.), მთავარია, ქართული ფეხბურთისთვის კარგი საქმე გაკეთდეს.

**— ყოველივე, ალბათ, ისევ ფინანსებს უკავშირდება.**

— რა თქმა უნდა. იტალიურმა მხარემ საუცხოო ატმოსფერო შეგვიქმნა. მსგავსი შეკრებები მისწრებაა ნებისმიერი ნაკრებისთვის.

**— ნაკრების თამაშებზე რას იტყვით. სუსტ რიმინელებთან და ოლქების ნაკრებთან გამარჯვება, ალბათ, სათვალავში ჩასაგდები არ არის. პრინციპულ მატჩებში კი დამარცხდით.**

— გეთანხმებით. არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი ხელმძღვანელობის შემთხვევაში სხვა შედეგები ყოფილიყო. ზოგადად ნაკრების თამაში დამაკმაყოფილებელი გახლდათ. პირველ მატჩში „რეჯანასთან“ რვა წუთის განმავლობაში სამი გოლი გავუშვით. ეს უფრო დაცვის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად მოხდა. მაგრამ ამის შემდეგ გუნდმა სრული გარდატეხა შეიტანა თამაშში და ორი გოლის გატანა მოახერხა. მუჯირს და ალექსიძეს რომ თავიანთი შანსი გამოეყენებინათ, იქნებ მოგვეგო კიდეც. რაც შეეხება სერია B-ს ნაკრებთან ქალაქ ავეცანოში გამართულ შეხვედრას, ამ მატჩს საუცხოო ატმოსფერო უძღოდა წინ — ქალაქის მერის ინიციატივით პრეზენტაცია შედგა, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. უშუალოდ მატჩის წინ კი მშვენიერი შოუ გაიმართა. თავად მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო და ასეც დამთავრდა, იმ განსხვავებით, რომ პირველ ტაიმში გოლი გავუშვით და დავმარცხდით. გუნდს აშვეთიას არყოფნა აშკარად ეტყობოდა. მიხო პირველივე თამაშში დაშავდა „რეჯანასთან“.

**— ნაკრების თამაშებს ალბათ უცხოელი სელექციონერებიც ესწრებოდნენ. რაიმე დაინტერესება თუ გამოითქვა მათი მხრიდან?**

— როგორც წამოსვლის წინ რობერტო ლანდიმ მითხრა, სელექციონერები ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესებულან, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, ეს სპეციალისტები რომელი კლუბებისთვის მუშაობენ. ის კი ვიცი, რომ ნათქვამი ძირითადად მუჯირსა და ალექსიძეს შეეხება.

ბაატა ძვანტალიანი

## რუსეთი

მე-14 ტური. როტორი — ცსკა 0:0; შინიკი — სპარტაკი 0:1; ჩერნომორეცი — ტიუმენი 4:1; ზენიტი — ბალტიკა 2:2; ლოკომოტივი — კრ. სოვეტოვი 1:0; დინამო — ურალანი 0:3; ჟემჩუჟინა — ალანია 3:0; როსტსელმაში — ტორპედო 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 14 | 7 | 6 | 1 | 21:11 | 27 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:11 | 22 |
| ჟემჩუჟინა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:14 | 22 |
| როტორი | 14 | 5 | 7 | 2 | 25:17 | 22 |
| როსტსელმაში | 14 | 5 | 6 | 3 | 22:16 | 21 |
| ალანია | 14 | 5 | 6 | 3 | 15:14 | 21 |
| ლოკომოტივი | 14 | 5 | 5 | 4 | 13:11 | 20 |
| ურალანი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 19 |
| ბალტიკა | 13 | 4 | 7 | 2 | 14:13 | 19 |
| ტორპედო | 14 | 4 | 6 | 4 | 15:14 | 18 |
| ჩერნომორეცი | 14 | 3 | 8 | 3 | 19:15 | 17 |
| შინიკი | 14 | 4 | 4 | 6 | 11:17 | 16 |
| კრილია | 14 | 4 | 2 | 8 | 12:20 | 14 |
| ცსკა | 14 | 3 | 5 | 6 | 16:17 | 14 |
| დინამო | 14 | 1 | 9 | 4 | 11:15 | 12 |
| ტიუმენი | 13 | 1 | 1 | 11 | 7:32 | 4 |

ლეგიონი ინალიშვილის ბედი გაურკვეველია

# გელა ჩივილს აპირებს

საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა გელა ინალიშვილმა წინა სეზონი ფოთში დაასრულა. მანამდე მას ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა სამარის „კრილია სოვეტოვთან“ და გელაც რუსულმა კლუბმა ათხოვა ფოთის „კოლხეთს“ ორი თვით.

ამჟამად ფეხბურთელის ბედი გაურკვეველია — იჯარის ვადა ამოიწურა და „კრილიაც“ ინალიშვილის დაბრუნებას ითხოვს. თავად ფეხბურთელს კი სამარაში ჩასვლის არანაირი სურვილი არა აქვს.

— ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. წესით სამარელებს ჩემზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ, თითქმის ერთი წელია, მათგან კაპიკიც არ მიმიღია და დებულებით ხელშეკრულების დარღვევის უფლებაც მაქვს. ვიმედოვნებ, ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ხელს შემიწყობს. თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, უეფას მივმართავ — ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ სამართალს იპოვის.

ბაატა ძვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# როცა ფაქსი ასე ფასობს

**WIMBLEDON'98**

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ პატრიკ რაფტერი დალუპული კაცი იყო — თამაშს თამაშზე აგებდა, კლასიფიკაციაში უფსკრულისკენ მიექანებოდა, მის ვარსკვლავურ სტატუსსაც წყალი ჰქონდა შემდგარი და არც გვირაბის ბოლოს უჩანდა სანთლის მაგვარიც კი, მაგრამ თურმე ყველაფრის გამოსწორება ერთი უბრალო ფაქსის გზავნილით შეიძლება. ეს ჯადოსნური წერილი ავსტრალიელმა ლეგენდარული თანამემამულის, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის ჯონ ნიუკომბისგან მიიღო.

„ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ის პირი გარიგებს, ვისაც დიდ პატივს სცემ, თუგინდ იგი იმასვე გეუბნებოდეს, რასაც მამაჩემი ან ტონი როუჩი (უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი). ნიუკმა (ნიუკომბის მეტსახელი) ერთი-ორი სიტყვით გამამხნევა, ფსიქოლოგიური სიმტკიცისთვის რამდენიმე რჩევა მომცა და იქედან მოყოლებული ყველაფერი კარგად მიმდის და შესანიშნავადაც ვთამაშობ" — გაანდო ჟურნალისტებს რაფტერმა, რომელმაც გასულ უქმეებზე დენ ბოშში კარიერის მეოთხე ტიტული მოიგო, თითქოსდა უიმედოდ დაკარგული საკუთარი ძალების რწმენა აღიდგინა და უიმბლდონზეც შესანიშნავ ხასიათზე გამოცხადდა.

ტურნირზე მეექვსედ განთესილ ავსტრალიელს პირველ წრეში მაინცდამაინც საშიში მეტოქე არ ჰყავდა — კლასიფიკაციის მეორე ასეულელი შვეიცარიელი ივო ჰოიბერგერი და მესამე სეტში კონცენტრაციის ცოტა ხნით დაკარგვის მიუხედავად გამარჯვება არც გასჭირვებია 6:1, 6:2, 4:6, 6:1. მავანთა აზრით, რაფტერის აშკარა კრიზისი იმით იყო გამოწვეული,



რუზეცკი გულშემატკივრებს ემშვიდობება

რომ ოზს მოულოდნელად მთელი ავსტრალიის იმედები დააწვა მხრებზე: „მე მგონი, ამ გაჭიანურებულმა ჩავარდნამ ხალხი დაარწმუნა, რომ ყოველთვის მოგება არ შემიძლია და ტვირთიც ნაწილობრივ შემიმსუბუქდა. ვფიქრობ, იმდენს უკვე აღარ მოელიან ჩემგან და თავს ძალიან თავისუფლად ვგრძნობ."

სამაგიეროდ, ძალად ბრიტანელი გრეგ რუზეცკის მხრებმა, უფრო სწორად, დაშავებულმა კოჭმა მთელი ბრიტანეთის იმედის თრევა აშკარად ვერ შეძლო. ექსკანადელმა თავისი მწვრთნელის — ტონი პიკარდის წინააღმდეგობა არად ჩააგდო, უიმბლდონის პირველ წრეში მაინც ჩაება და აშკარა ტკივილებისა და მოძრაობის შესაძლებლობის შეზღუდულობის მიუხედავად თითქმის მთელი სამ სეტიც ითამაშა, სანამ სამშაბათ ღამით მარკ დრეიპერთან მის შეხვედრას წვიმა შეწყვეტდა, როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ. „დღეს მატჩის გაგრძელებას მაინც ვაპირებდი, მაგრამ ექიმმა სასტიკად ამიკრძალა. სამწუხაროდ, ასეთი რამეები ცხოვრებაში ხდება თუმცა ეს სულიერად უფრო გაძლიერებს. საბედნიეროდ, მომავალი წელი ყოველთვის მოდის" — განაცხადა რუზეცკიმ. აი, მსოფლიოს 238-ე ჩოგანი დრეიპერი კი უიმბლდონზე უფრო თავისი ძმის, სკოტის თამაშის საცქერლად იყო ჩამოსული, მაგრამ მოულოდნელად კვალიფიკაციის გავლაც მოახერხა და ერთ-ერთ ფავორიტთან დაწყვილების მიუხედავად ერთბაშად მეორე წრეშიც ამოჰყო თავი. თუმცა უსაქმოდ უახლოეს დღეებში, როგორც ჩანს, არც რუზეცკი დარჩება — გრეგს მატჩის შემდეგ BBC-ზე ინტერვიუ რომ ჩამოართვეს, იქვე დარჩენილი უიმბლდონის კომენტატორობაზეც დაიყოლიეს.

მწვრთნელთან კი გრეგმა, ეტყობა, საბოლოოდ გაიფუჭა ურთიერთობა, რადგან ოთხშაბათსვე სტეფან ედბერგისა და პეტერ კორდას ყოფილი დამრიგებელი რუზეცკისთვისაც ყოფილი გახდა. „მას ჩემი ზოგიერთი გადაწყვეტილება არ მოსწონდა, მაგრამ ასეთ მძიმე დროს კაცის მიტოვება... სწორედ ეს წარმოაჩენს ადამიანის ნამდვილ ბუნებას" — საბოლოოდ მოიჭრა უკან დასახევი გზები ჩოგბურთელმა. როდესაც რუზეცკის ნათქვამი პიკარდს მოახსენეს, უკან არც მას დაუხევია, ენას კბილი დააჭიროს, თორემ ისეთებს მოგიყვებით, თავს ვეღარსად გამოყოფსო.

ქალებში დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის მარტინა ჰინგისასა და ამერიკელი ლაიზა რეიმონდის შეხვედრა, უპირველესად იმის გამო, რომ შვეიცარიელს მეტოქესთან ბოლო პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდა. რეიმონდს თავი არც ამჯერად შეურცხვენია, პირველ სეტში ფავორიტს დიდი ბრძოლა გაუჩალა, ბადესთან გაბედული თამაშით გვარიანადაც ანერვიულა და არანაკლები არბენინა კიდეც, მაგრამ მერე მატჩი წვიმის გამო შეწყდა და განახლების შემდეგ ამერიკელს თავი აღარფრით გამოუჩენია — 5:7, 3:6. რეიმონდმა მატჩის შემდეგ ბრძანა, წლეულს მარტინა ისე დაუმარცხებელი აღარ ჩანსო, თუმცა თავად ჰინგისს, როგორც ყოველთვის, თავმდაბლობით თავი არ შეუწუხებია კურნიკოვას ტრავმის და პირსის გავარდნის შემდეგ მთავარი ფავორიტი მე ვარ, შტეფი (გრაფი) როგორ ითამაშებს, კაცმა არ იცისო.

ჰინგისის ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი ვინუს უილიამსი კი უიმბლდონიდან ზედიზედ მეორედ პირველივე წრიდან კინაღამ გავარდა. ზანგ გოგოს პრობლემები მეტოქემ კა არა, დაბნეულობამ შეუქმნა: სათამაშოდ გამწესებული მეცამეტე კორტი ვერაფრით იპოვა, კარგა ხანი წინ და უკან იარა და კიდევ ხუთი წუთიც რომ დაგვიანებოდა მატჩზე, დისკვალიფიკაციითაც დასჯიდნენ. ისე კი ვინუსმა კანადელ იანა ნეიდლის 6:2, 6:2 მოუგო, მერე კი ჩოგბურთელ ქალთა დი-



პატრიკ რაფტერი

სკრიმინაციაზეც აიმაღლა ხმა და დიდი სლემის ტურნირებზე თანაბარი ანაზღაურება მოითხოვა — ქალების ჩოგბურთი ამჟამად კაცებისაზე გაცილებით საინტერესოაო.

**პირველი წრე. კაცები:** კარლოს მოია (5, ესპანეთი) — მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) 6:4, 4:6, 6:4, 2:6, 6:3; ვლადიმრ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — კაროლ კუჩერა (15, სლოვაკეთი) 7:6 (8:6), 6:3, 6:4; იონას ბიორკმანი (11, შვედეთი) — დავიდ დილუჩია (აშშ) 6:4, 3:6, 6:3, 6:2; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:4; გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) — გრანტ სტაფორდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:3, 6:2; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:5, 7:5, 7:6 (7:5).

**ქალები:** იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 5:7, 6:2, 6:0; სანდრინ ტესტიუ (14, საფრანგეთი) — რენე სტაბსი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:0; ნატალი ტოზია (16, საფრანგეთი) — ჰარუკა ინუე (იაპონია) 2:6, 6:1, 6:3; პატი შნიდერი (13, შვეიცარია) — ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:4, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:4; ამელი მორესმო (საფრანგეთი) — მირიამ შნიცერი (გერმანია) 6:3, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**

---

როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელი ბუკმეიკერები უიმბლდონის მოგების უპირატეს შანსებს მსოფლიოს პირველ ჩოგნებს — პიტ სამპრასსა და მარტინა ჰინგისს აკუთვნებენ.

17 წლის შვეიცარიელზე ფსონი 10-11-თანაა. მას მოჰყვებიან შტეფი გრაფი და მონიკა სელეში 6-1; ვინუს უილიამსი და იანა ნოვოტნა 12-1; ლინდსი დევენპორტი და კონჩიტა მარტინესი 20-1.

რაც შეეხება კაცებს, ფავორიტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიტ სამპრასია 5:4, რომლის შემდეგაც მოდიან რიჩარდ კრაიჩეკი და ევგენი კაფელნიკოვი (ეს უკანასკნელი უკვე გავარდა) 6-1; გრეგ რუზეცკი 12-1 (ესეც); იონას ბიორკმანი 14-1; პატრიკ რაფტერი 16-1; გორან ივანიშევიჩი; ტიმ ჰენმანი და ანდრე აგასი 20-1.

* * *

უიმბლდონს ცერა თითის ტრავმის გამო დაკლებული ანა კურნიკოვას არყოფნა ინგლისურმა გაზეთებმა სასტიკად შეიცხადეს. „კაცებისთვის უიმბლდონი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ქალებისთვის კი მხოლოდ ახლა იწყება" — დააკვნა „მირორმა". „ეს იმას ნიშნავს, რომ სექსუალური ღიმილი და სულისშემკვრელი სამოსი მამაკაცების ლეგიონების ტელევიზორებთან დასაბმელად წეულს აღარ იქნება" — პირველ გვერდზე გამოიტანა „სანმა". თავად კურნიკოვას დრო ტყუილად არ დაუკარგავს — ჯერ ცენტრალურ კორტზე თავის ბოიფრენდ, NHL-ს ჩემპიონ „დეტროიტ რედ უინგზის" ვარსკვლავ სერგეი ფიოდოროვთან ერთად პიტ სამპრასის მატჩს დაესწრო, მერე კი პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. როდესაც კურნიკოვას უიმბლდონზე პროგნოზის გამოთქმა სთხოვეს, რუსმა ჯერ განაცხადა, ბევრი კარგი ჩოგბურთელია და წინასწარ თქმა ძალიან ძნელიაო, მაგრამ ბოლოს მაინც დააკონკრეტა — ჩემპიონატში ის იმარჯვებს, ვისაც იგი უკვე მოუგიაო. ასეთნი კი სულ სამნი არიან — მარტინა ჰინგისი, შტეფი გრაფი და კონჩიტა მარტინესი.



ანა და სერგეი: კურნიკოვა და ფიოდოროვი

* * *

პიტ სამპრასის პირველ ადგილს კლასიფიკაციაში ისევ საფრთხე ემუქრება. ლიდერობის შესანარჩუნებლად ამერიკელს უიმბლდონზე მინიმუმ ფინალში გასვლა მაინც სჭირდება, მაგრამ თუ თავის მხრივ მისი უშუალო კონკურენტი მარსელო რიოსი ნახევარფინალში გააღწევს (რაც მეტად საეჭვოა), პიტს ვეღარაფერი უშველის.

რიოსის გარდა სამპრასის ტახტიდან ჩამოგდების შანსი კიდევ ოთხ ჩოგბურთელს აქვს — პეტერ კორდას, კარლოს მოიას, გრეგ რუზეცკისა და პატრიკ რაფტერს.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

25 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია — მექსიკა | 1,4 . | 3,4 | 7,5 |
| ბელგია — კორეა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| გერმანია — ირანი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| აშშ — იუგოსლავია | 9,0 | 5,0 | 1,2 |

26 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| რუმინეთი — ტუნისი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| კოლუმბია — ინგლისი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| არგენტინა — ხორვატია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| იაპონია — იამაიკა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოლები

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), კრისტიან ვიერი (იტალია)

3 — მარსელო სალასი (ჩილე)

2 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი)

1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), დეიან სტანკოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## წითელი ბარათები

**A ჯგუფი**

შოტლანდია — კრეიგ ბარლი

**B ჯგუფი**

კამერუნი — რაიმონდ კალა, რიგობერტ სონგი, ლავრიანო ეტამე

**C ჯგუფი**

დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

**E ჯგუფი**

კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
ბელგია — გერტ ვერჰეინი
მექსიკა — პაველ პარდო

**H ჯგუფი**

იამაიკა — დერილ პაუელი

## ყვითელი ბარათები

**A ჯგუფი**

ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო
შოტლანდია — დარენ ჯეკსონი 2, გორდონ დიური, კევინ გალაჰერი
მაროკო — საიდ ჩიბა 2, აბდელჯალილ ჰადა, იოზეფ ჩიპო
ნორვეგია — ჰენინგ ბერგი, კეტილ რეკდალი, ოივინდ ლეონარდსენი, ერიკ მიუკლენდი

**B ჯგუფი**

ჩილე — ნელსონ პარაგესი 2, ფრანსისკო როხასი 2, კლარენს აკუნია, მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტაი, ფრანსისკო როხასი, მოისეს ვილიაროელი
იტალია — ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო, პაოლო მალდინი
ავსტრია — პეტერ შოტელი 2, ანტონ პფეფერი, ვოლფ ფაიენზინგერი, ივიცა ვასტიჩი
კამერუნი — რიგობერტ სონგი 2, სამუელ იპუა, პიერ ვომე, პიერ ნჯანკა, დიდიე ანგიბედო

**C ჯგუფი**

დანია — მორტენ ვიგჰორსტი, მარკ რიპერი, ალან ნილსენი, მიჰაელ შიონბერგი, იეს ჰოგი, პეტერ შმაიხელი, სორენ კოლდინგი, სტიგ ტოფტინგი
საფრანგეთი — ემანუელ პეტი, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, ბიქსენტე ლისარასუ, ბერნან დიომედი, პატრიკ ვიეირა
საუდეთი — ხალიდ ალ მუვალიდი, მუჰამედ ალ ჯაჰანი, სამი ალ ჯაბერი, ხამის ალ ივაირანი
ს. აფრიკა — ლუკას რადებე 2, ვილემ ჯეკსონი, დავიდ ნიატი, პიერ ისა, ალფრედ პირი, კუინტონ ფორტუნი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი, ილიან ილიევი, რადოსტინ კიშიშევი, ლუბოსლავ პენევი, გეორგ ბაჩევი
ესპანეთი — გილერმო ამორი, მიგელ ანხელ ნადალი, ივან კამპო, სერხი, კიკო ნარვაესი, კარლოს აგილერა, იულენ გერერო
პარაგვაი — მიგელ ბენიტესი, სელსო აიალა, ფრანსისკო არსე
ნიგერია — უჩე ოკეჩუკვუ 2, მუტიუ ადეპოჟუ, ვიკტორ იკპება, ჯეი-ჯეი ოკოჩა, ავგუსტინ ეგუავონი, ბენ იროჰა

**E ჯგუფი**

მექსიკა — ხაიმე ორდიალესი, ალბერტო გარსია ასპე, ხესუს რამირესი
ბელგია — ლორენცო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე, გორდან ვიდოვიჩი
კორეა — ჩოი იონგ სო, კო იონგ სო

**F ჯგუფი**

იუგოსლავია — ზელიკო პეტროვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი
გერმანია — იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი, ლოტარ მათეუსი
აშშ — ფრენკი ჰეიდუკი, ედი პოუპი, დევიდ რეჯისი
ირანი — მერდად მინავადი, ჯავად ზარინშეჰი

**G ჯგუფი**

ტუნისი — ხოსე კლეიტონი 2, იმედ ბენ ინეში, კაის გოდბენი, რიად ბუაზიზი
რუმინეთი — იულიან ფილიპესკუ, დორინელ მუნტეანუ, დან პეტრესკუ, გეორგე ჰაჯი, გეორგე პოპესკუ, ლივიუ ჩობოტარიუ, იულიან ფილიპესკუ
ინგლისი — სოლ კემპბელი
კოლუმბია — ხოსე სანტა 2

**H ჯგუფი**

იაპონია — ისუკე ნაკანიში 2, მასამი იჰარა, ტაკაში ჰირანო, ჰიროში ნანამი, იაკატა აკიტა
ხორვატია — ზვონიმირ სოლდო, დარიო სიმიჩი, რობერტ პროსინეჩკი, მარიო სტანიჩი
იამაიკა — დეონ ბარტონი, დერილ პაუელი, პეტერ კერჯილი
არგენტინა — ხოსე შამოტი

## ვისი ფსონი გსურს...

ინგლისელი ბუქმეიკერი უილიამ ჰილი თავისი საქმის ოსტატად ითვლება და მის მიერ შედგენილ ფსონებს იოლად გამდიდრების მოყვარულნი ყოველთვის ითვალისწინებენ. ახლა, როდესაც მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტი ეტაპი იწყება, ჰილისეული ფსონები თანდათან იცვლება. მაგალითად, თუ ადრე ნორვეგიის ჩემპიონობაზე კოეფიციენტი 150-1 იყო, ამჯერად 50-1 გახდა. შეიცვალა სხვა კოეფიციენტებიც: ბრაზილია 5-2; არგენტინა, საფრანგეთი, ჰოლანდია 11-2; გერმანია 7-1; იტალია 8-1; ინგლისი 14-1; ნიგერია, იუგოსლავია 25-1; ესპანეთი 28-1; ხორვატია, რუმინეთი 33-1; ჩილე 66-1; მექსიკა 100-1; დანია 125-1; ბელგია, პარაგვაი 150-1; კოლუმბია 200-1; ბულგარეთი, სამხრეთი აფრიკა 500-1.

## პრეზერვატივი

პრეზერვატივს, რომელსაც ჩეხეთის ქალაქ დუბრავაში დაფუძნებული კომპანია ERCO უშვებს, საფრანგეთში, მსოფლიოს პირველობაზე დიდი გასავალი აქვს. ამ დღეებში ჰოლანდიელი დისტრიბუტორის მეშვეობით, კონდომების ჩეხურმა ფირმამ 2 ათასი ცალი საქონელი ჩაიტანა საფეხბურთო ფესტივალის ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ თითოეულ კონდომს ბურთი და ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნის დროშა ახატია.

საინტერესოა, რომ ERCO 1990 წლიდან მუშაობს ამ სფეროში და დიდი ნოვატორობით გამოირჩევა. მაგალითად, იგი უშვებს მუსიკალურ კონდომებს, რომელთაგან ზოგი OLD MACDONALD-ს უკრავს, ზოგი LOVE ME TENDER-ს და ზოგიც TUNGLE BELLS-ს.

კიდევ, ჩეხეთში გასულ კვირას გამართულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ფირმამ გამოუშვა პარტიათა ლიდერების თავებიანი 5 ათასი კონდომი.



1990 წელს მავანმა ნორვეგიელმა ჭაბუკმა ოივინდ ილენმა და ბრაზილიელმა გოგონამ როზ მარი ანჯელა დე სოუზამ რიო დე ჟანეიროში გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ. მოგვიანებით წყვილმა შეუღლება გადაწყვიტა, თუმცა ქორწილისთვის დრო და ადგილი ვერ შეარჩია. ასე გრძელდებოდა დეკემბრამდე, თუმცა როცა მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრისას ნორვეგია და ბრაზილია ერთ ჯგუფში მოხვდნენ, ოივინდმა და როზ მარიმ გადაწყვიტეს, საქორწინო ცერემონიალი ამ გუნდების შეხვედრის წინ მოეწყოთ.

და აი, სამშაბათს მარსელის „ველოდრომზე" ბრაზილიისა და ნორვეგიის ნაკრებების შეხვედრამდე საათით ადრე ბედნიერი წყვილის ქორწილს ათასობით გულშემატკივარიც დაესწრო.

## იცით თუ არა, რომ...

...კამერუნელი მცველი რიგობერტ სონგი პირველი ფეხბურთელია, რომელიც ორ სხვადასხვა მსოფლიოს ჩემპიონატზე გააძევეს მინდვრიდან. პირველად ეს 1994 წელს აშშ-ში მოხდა, როდესაც იგი მხოლოდ 17 წლის იყო, ხოლო მეორედ ახლა, ჩილეს ნაკრებთან შეხვედრაში. სონგს კიდევ ერთი ანტირეკორდი ეკუთვნის — იგი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ვისაც მსოფლიოს პირველობაზე წითელი ბარათი მიუღია.

* * *

...მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი რეკორდიც დამყარდა: იტალია — ავსტრიის მატჩში ამ ტურნირების ისტორიაში ყველაზე სწრაფად, მეოთხე წუთზე შეიცვალა ფეხბურთელი. შეგახსენებთ, დაშავებული ალესანდრო ნესტა ჯუზეპე ბერგომიმ შეცვალა. ბერგომი საფრანგეთში მყოფ ფეხბურთელთაგან მეორეა გერმანელი ლოთარ მათეუსის შემდეგ, ვინც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა.

* * *

...ნორვეგიელებთან 1:2 მარცხი ბრაზილიელთათვის პირველი იყო მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1990 წლის შემდეგ. მაშინ მათ არგენტინის ნაკრებთან წააგეს 0:1. ამის მერე ბრაზილიელებმა ათი თამაში ჩაატარეს დაუმარცხებლად.

* * *

...ნორვეგიელთა გუშინწინდელი გამარჯვება მეორე იყო მათ ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე. პირველად მათ ეს 1994 წელს მოახერხეს მექსიკელებთან 1:0. მაშინ ის ერთადერთი ბურთი 23 ივნისს ბრაზილიელთა კარში მეორე გოლის გამტანმა კეტილ რეკდალმა შეაგდო.

* * *

...ასევე მეორედ იმარჯვა მაროკოს ნაკრებმა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე სულ 12 მატჩი გაუმართავს. პირველად აფრიკელებმა 1986 წელს მექსიკაში მოუგეს პორტუგალიელებს 3:1.

* * *

...საფრანგეთი 98 შოტლანდიელთათვის მერვე მსოფლიოს ჩემპიონატია და მათ ვერცერთხელ მოახერხეს ჯგუფიდან გასვლა. მაროკოს ნაკრებთან სქოთებმა ყველაზე დიდი ანგარიშით წააგეს 1982 წლის შემდეგ. მაშინ ისინი ბრაზილიასთან დამარცხდნენ 1:4.

* * *

...იტალიელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე, საკვალიფიკაციო მატჩების ჩათვლით, უკვე 19 შეხვედრა არ წაუგიათ. ბოლოს აპენინელები 1994 წელს, სასტარტო თამაშში დამარცხდნენ ირლანდიელებთან 0:1.

* * *

...მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩილეს ნაკრებს არც ერთი თამაში არ მოუგია, სამივე ფრედ დაამთავრა და შემდგომ ეტაპზე ისე გავიდა. სამხრეთამერიკელებს ამ ტურნირზე უკვე 36 წელია, არ უმარჯვიათ. ბოლოს ჩილელებმა 1962 წელს შინ სძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს.

* * *

...კამერუნის ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე ბოლოს 1990 წელს გაიმარჯვა კოლუმბიასთან — 2:1. მას შემდეგ გამართული შვიდი შეხვედრიდან მათ ოთხი ფრედ დაასრულეს, ხოლო სამში დამარცხდნენ.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29